ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 31 იანვარი, 2018 | №25 (7570) | ფასი: 50 თეთრი

## „60.000 ბავშვს შესაძლოა დიაბეტი დაემართოს“

გვ.3





30 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა

ქურდები და არიფები

ქართული დეტექტივი ტომი 5




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# „აქამდე „ოცნებას“ უუნაროს ვეძახდი, მაგრამ ის უკვე მავნებლად გადაიქცა“



## ვინ გაარემონტა მეტრო „ვარკეთილი“, რომლის ჭერის ჩამონგრევამ 10-ზე მეტ ადამიანს ჯანმრთელობა დაუზიანა

გვ.2





## „ქვეყანაში კრიმინალური მენტალიტეტის რომანტიზება ხდება“

გვ.3

გია ხუხაშვილი: „მურუსიძის უვადოდ დამნიშნავ პოლიტიკურ ძალას მორალური უფლება არა აქვს, გირგვლიანის თემით ისპეკულიროს“

## „ხელისუფლებასაც უნდა ეშინოდეს და ოპოზიციასაც, რომ ხალხი მათ ერთიანად გადაუვლის“

გვ.2



**სამართალი** გვ.7

შინაგან საქმეთა სამინისტრო 2017 წლის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს



### ადვოკატ ირაკლი ზაქარეიშვილს ფიზიკურად გაუსწორდნენ




### ავარია ოზურგეთი–ჩოხატაურის გზაზე — გარდაცვლილია ერთი ახალგაზრდა




**ეკონომიკა** გვ.6



„2017 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 4.8 პროცენტი შეადგინა“



რას წარმოადგენს კომპანია „ყვარელრემმშენი“, რომელმაც მეტროსადგურ „ვარკეთილის“ რეაბილიტაცია განახორციელა?



რას ელოდებიან ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები ეროვნული ბანკისგან

ISSN 1987-9385
9 771987 938006

4 რამდენი დახარჯა თბილისმა აფხაზეთში ფაროსანასთან საბრძოლველად

5 ახალი ანტირუსული სანქციები აშშ-ის კონგრესსა და პრეზიდენტს შორის უთანხმოებას იწვევს?

4 იუსტიციის სამინისტროსა და სახლს თანამშრომლისთვის 55 ათასი ლარის გადახდა დაეკისრათ

6 ლევან გოგიჩაიშვილი: „სატენდერო სისტემა ფუნდამენტურად უნდა გადაიხედოს“

# „აქამდე „ოცნებას“ უუნაროს ვეძახდი, მაგრამ ის უკვე მავნებლად გადაიქცა“

შორენა მარსაგიშვილი

## ვინ გაარემონტა მეტრო „ვარკეთილი“, რომლის ჭერის ჩამონგრევამ 10-ზე მეტ ადამიანს ჯანმრთელობა დაუზიანა





გუშინ, 30 იანვარს, ქვეყანა დიდ ტრაგედიას გადაურჩა – მეტროსადგურ „ვარკეთილში“ ჭერის ჩამონგრევა უმსხვერპლოდ დასრულდა. სამწუხაროდ, დაშავდა 14 ადამიანი. მათ სხვადასხვა სახის დაზიანება აქვთ მიღებული. რამდენიმეს ოპერაციაც კი დასჭირდა.

დაშავებულთა შორის არის „ახალი თაობის“ ყოფილი ჟურნალისტი გიორგი საკარულიც.

მეტროსადგურში ჭერის ჩამონგრევასთან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება დაიწყო. შემთხვევის ადგილზე მისულმა დედაქალაქის მერმა პირობა დადო, რომ დამნაშავეები მკაცრად დაისჯებიან.

დამნაშავე ჯერ არ გამოვლენილა. კომპანიის ხელმძღვანელობა, რომელმაც მეტროსადგურში სარემონტო სამუშაოები ჩაატარა, დაკითხვაზე დაიბარეს.

როგორც „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა განუცხადა, კომპანია, რომელსაც მეტრო „ვარკეთილის“ შეკეთება ანდეს, 2015 წელს შესყიდვების სააგენტომ შავ სიაში შეიყვანა.

– შავ სიაში შეყვანის მიუხედავად, კომპანიასთან 2016 წლის 30 ნოემბერს გააფორმეს 347.848-ლარიანი ხელშეკრულება. განახლებული მეტროსადგური „ვარკეთილი“ შარშან, თვითმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე, 25 სექტემბერს, დიდი ზარ-ზეიმით გახსნეს დავით ნარმანიამ და „ქართულმა ოცნებამ“.

ათწლიანი გარანტია იყო და განახლებულმა მეტროსადგურმა სამი თვეც ვერ გაძლო ამათ პირობებში. აქამდე „ოცნებას“ უუნაროს ვეძახდი, მაგრამ ისინი უკვე მავნებლებად გადაიქცნენ. ვინც ადამიანების სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა, ყველა ის ადამიანი უნდა დაისაჯოს უმკაცრესად, როგორც შემსრულებელი, ასევე ის ადამიანები, რომლებმაც ეს უხარისხო სამუშაოები ჩაიბარეს, – აღნიშნა ხაბეიშვილმა.

კომპანია, რომლის მიერ შესრულებულმა სამუშაოებმა ქვეყანა ტრაგედიის წინაშე დააყენა, შპს „ყვარელრემმშენია“.

„ყვარელრემმშენი“ 1999 წლის 1 ოქტომბერს არის რეგისტრირებული. კომპანიის დირექტორი და 100% წილის მფლობელია 1987 წელს დაბადებული გიორგი ჯოხარიძე.

კომპანია თბილისის მეტროპოლიტენის სადგურების რეაბილიტაციის სამუშაოებზე გამოცხადებულ სამ ტენდერში მონაწილეობდა: „ავლაბრის“, „ახმეტელის თეატრისა“ და „ვარკეთილის“.

შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის მონაცემებით, მან მხოლოდ ერთ ტენდერში გაიმარჯვა და „ვარკეთილის“ მეტროს სარემონტო სამუშაოები შეასრულა, რომელიც 2017 წლის სექტემბერში დასრულდა. სამუშაოების ღირებულებამ 347.848 ლარი შეადგინა.

„რეგინფოს“ ინფორმაციით, გარდა აღნიშნულისა, 2011 წლიდან დღემდე კომპანიას ყვარელში შესრულებული აქვს შემდეგი სამუშაოები:

კულტურის სახლის რეაბილიტაცია (2 ეტაპად) – საერთო ჯამში 357.277 ლარი; სოფელ გავაზის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 39.000 ლარი; სოფელ კუჭატანის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 9.953 ლარი; სოფელ ჭიკაანის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 170.000 ლარი; სოფელ ჩანტლისყურეს საჯარო სკოლაში ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი – 26.000 ლარი; მთისძირისა და ალმატის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები – 119.271 ლარი.

ამ კომპანიამ განახორციელა იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის ფილიალის საცურაო აუზის რემონტი, რომლის ღირებულებაც 17.394 ლარს შეადგენს.

„ყვარელრემმშენს“ სარემონტო სამუშაოები თბილისშიც აქვს შესრულებული. „ვარკეთილში“ შესრულებული სამუშაოს ხარისხიანობა ყველამ იხილა.

კომპანიის უპასუხისმგებლობაზე საუბრობს დედაქალაქის მერიც. საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე კახა კალაძემ პირობა დადო, რომ სიმართლეს დაადგენს.

– აღნიშნული სამუშაოები შეასრულა კომპანია „ყვარელრემმშენმა“ და მისი ჯამური ღირებულება შეადგენს 347.852 ლარს. სამუშაოები დაიწყო 2016 წელს და დასრულდა 2017 წლის აგვისტოში. განახლებული მეტროსადგური ექსპლუატაციაში შევიდა სექტემბრიდან და რამდენიმე თვეში მივიღეთ ეს შედეგი. ჩვენ გვაქვს კითხვები, რომლებსაც დროულად უნდა გაეცეს პასუხი.

როგორც ვიცი, გამოძიება უკვე დაიწყეს შესაბამისმა სამსახურებმა და არ მინდა ხმამაღალი დასკვნების გაკეთება, რომ არ შევიჭრა უწყებების კომპეტენციაში, მაგრამ ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ მომხდარის მიზეზები დროულად დადგინდეს და ყველამ თავისი დანაშაულის შესაბამისად აგოს პასუხი. ვერ და არ ეპატიება არცერთ კომპანიას, არცერთ ადამიანს, რომელთა არაჯეროვანი და უპასუხისმგებლო მოქმედებების შედეგადაც თუნდაც ერთი მოქალაქის ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან სიცოცხლეს შეიძლება საფრთხე დაემუქროს.

ჩვენ დეტალურად ვამოწმებთ ყველა ობიექტს თბილისში – ბაღებს, სპორტულ კომპლექსებს, მეტროსადგურებს. სამწუხაროდ, უხარისხო მუშაობის შედეგები ფეხდაფეხ მოგვყვება და უკვე იჩენს თავს. ძალიან ბევრი საქმეა წინ. შემოწმება, მონიტორინგი უკვე როგორც არსებულისა და, ზოგადად, გაკეთებულის გამოსწორება გვიწევს და მინდა, კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ ხარისხს. განსაკუთრებული ყურადღება იქნება სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს და ახალი აშენებული შენობა-ნაგებობების ხარისხზე იქნება დიდი ყურადღება გამახვილებული, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის სატრანსპორტო კომპანიის გენერალურ დირექტორ მამუკა კობახიძის თქმით, იმ მეტროსადგურებში, რომელთა რეაბილიტაციაც ბოლო პერიოდში განხორციელდა, ექსპერტიზა ჩატარდება.

თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა ამბობს, რომ „ვარკეთილში“ მომხდარ ფაქტს უკომპრომისო რეაგირება მოჰყვება და ყველა ის პირი თუ კომპანია, რომლებიც პასუხისმგებელი არიან აღნიშნული სამუშაოების განხორციელებაზე, უმკაცრესად აგებს პასუხს.

მისივე თქმით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით უკვე დაწყებულია, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების ნორმების დარღვევას გულისხმობს.

ის გამოსავალს სტანდარტების გამკაცრებაში ხედავს.

– ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად გარდაუვალია უფრო

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „მედიასაშუალებებს საჯაროდ მოვუწოდებთ, გაასწორონ მცდარ ფაქტებზე დაყრდნობილი ტყუილი“

ამა წლის 24 იანვარს საინფორმაციო სააგენტო www.reginfo.ge-მ მცდარ ფაქტებზე დაყრდნობით, წყაროს ყოველგვარი გადამოწმების გარეშე, საქართველოს პარლამენტის წევრზე, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან, ზაქარია ქუცნაშვილზე, ცრუ ინფორმაცია გაავრცელა, რაც შემდგომ საფუძველი გახდა მიხეილ სააკაშვილის ადვოკატ ბექა ბასილაიას სააკაშვილის სასამართლოზე უკანონო შუამდგომლობის დაყენებისა და გაზეთ „ახალი თაობის“ 30 იანვრის ნომერში უკვე, სავარაუდოდ, სხვა სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის განთავსებისა.

1. სააგენტოს მიხედვით, ვითომ „ზაქარია ქუცნაშვილმა მის კუთვნილ რესტორან „ერწოს იდილიაში“, რომელიც თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევსურთსოფელში მდებარეობს, პირადად მისი და 3 სხვა პარლამენტარის ქეიფის ხარჯი 2017 წლის 10 აგვისტოს თიანეთის გამგეობას გადაახდევინა.“

საქართველოში საკუთრების უფლება აღიარებული და დაცულია. შესაბამისად, რომელიმე საწარმო რომც ეკუთვნოდეს ზაქარია ქუცნაშვილს, არ წარმოადგენს კანონის დარღვევას. კანონის დარღვევას იმ შემთხვევაში ექნებოდა ადგილი, რომ დეპუტატს თავად ემართა ის ან არ ჰქონოდა შეტანილი საჯარო სამსახურის ბიუროსათვის ყოველწლიურად წარდგენილ დეკლარაციაში, როგორც საკუთრება.

ამხანაგობა „ერწოს იდილია“ არ წარმოადგენს ზაქარია ქუცნაშვილის საკუთრებას. შესაბამისად, ის ინფორმაცია, რომ მასში 70% წილს ზაქარია ქუცნაშვილი, დანარჩენს კი 30% კი რევაზ ბოდაველი და ელგუჯა ჩოლოგაური ფლობენ, არის მორიგი ტყუილი. ამის დამადასტურებელია თავად ამ ინფორმაციაზე სააგენტოს მიერ დართული 2 დოკუმენტი: მიღება-ჩაბარების აქტი და საანგარიშსწორებო ბარათი. ორივე დოკუმენტზე ამხანაგობა „ერწოს იდილიის“ სახელით ხელს აწერს ბ-ნი მალხაზ ბადურაშვილი და არა ზემოთ მითითებული რომელიმე პირი. ბატონი ბადურაშვილი ერთ-ერთი მესაკუთრეა, რომელიც, ამავდროულად, მართავს ამხანაგობა „ერწოს იდილიას“. რაც შეეხება სხვა 2 მესაკუთრეს, ისინი არ არიან არც ზაქარია ქუცნაშვილი, არც რევაზ ბოდაველი და არც ელგუჯა ჩოლოგაური. ისინი არ წარმოადგენენ საჯარო მოსამსახურეებს და ამიტომ მათი პერსონალური მონაცემების საჯაროდ გამჟღავნებისაგან თავს შევიკავებდით.

ის, რომ ამხანაგობა „ერწოს იდილია“ არ წარმოადგენს ზაქარია ქუცნაშვილის საკუთრებას, ამის თაობაზე პირადად ამა წლის 27 იანვარს ესაუბრნენ სააგენტოს ერთ-ერთ ჟურნალისტს, კერძოდ, ბ-ნ გელა მთივლიშვილს. მას ინფორმაციის დასადასტურებლად შესთავაზეს ამხანაგობა „ერწოს იდილიის“ დამფუძნებლების სანოტარო აქტით დადასტურებული სრული შემადგენლობის ამსახველი დოკუმენტის მიწოდება, მაგრამ ჟურნალისტმა არასწორი ინფორმაციის გასასწორებლად დროის უქონლობა მოიმიზეზა და შეცდომის გასწორება მომავალი კვირისათვის გადადო.

2. გავრცელებულ ინფორმაციაში მეორე ტყუილი მდგომარეობს იმაში, რომ თითქოს ზაქარია ქუცნაშვილისა და მისი კოლეგების ვიზიტი პირადი ხასიათის იყო. მცდარ ფაქტებს ასეთად წარმოადგენს როგორც სააგენტო, ასევე მასზე მითითებით მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი. „ ... პირადად მისი და 3 სხვა პარლამენტარის ქეიფის ხარჯი 2017 წლის 10 აგვისტოს თიანეთის გამგეობას გადაახდევინეს“, რითაც, როგორც ჩანს, სააგენტოს სურს, საზოგადოებას ვითომ კანონის „დარღვევისა“ და მორალის „შელახვის“ ფაქტის აღმოჩენა ამცნოს. ამ დროს სააგენტოს ჟურნალისტის მხრიდან ინფორმაციის ელემენტარული გადამოწმებით სულ სხვა გარემოება დასტურდებოდა.

ადგილი ჰქონდა არა პირადი ხასიათის ვიზიტს, არამედ აშშ-ის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის ეგიდით ჩატარებულ სამუშაო შეხვედრას თიანეთის მუნიციპალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მოსახლეობასთან. მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარებული შეხვედრის მიზანი მდგომარეობდა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ორიენტაციის უპირატესობებისა და პერსპექტივების თაობაზე მსჯელობაში, ევროპასთან დადებული თავისუფალი ვაჭრობის და უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულების გაცნობაში. „NDI“-მ ამ მისიის შესრულებისათვის მოიწვია ყველაზე საპასუხისმგებლო პოზიციაზე მყოფი თანამდებობის პირები, როგორებიც არიან საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები. სამუშაო შეხვედრაზე თითოეულმა გამომსვლელმა გააკეთა ზეპირი მოხსენება და უპასუხა მოქალაქეების მიერ დასმულ შეკითხვებს. სამუშაო ჯგუფში მონაწილე არცერთ მოხელეს ამისათვის ანაზღაურება არ მიუღია. ამის გამო ზაქარია ქუცნაშვილმა აშშ-ის ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტს, ყველა მის კოლეგასა და თიანეთის მუნიციპალიტეტს დიდი მადლობა გადაუხადა.

ის, რომ ეს არ იყო პირადი ხასიათის ვიზიტი, შეიძლებოდა გადამოწმებულიყო მუნიციპალიტეტის საიტის ელემენტარული დათვალიერებით, სადაც ნათლად ჩანს შეხვედრის საჯაროობა, ადგილი, თემატიკა და თიანეთის მუნიციპალიტეტი, როგორც მასპინძელი მხარე.

3. გავრცელებულ ინფორმაციაში მესამე ტყუილი მდგომარეობს იმაში, რომ თითქოს 459 ლარით თიანეთის მუნიციპალიტეტმა მხოლოდ 5 ადამიანს უმასპინძლა. სტუმრებს მასპინძლების გარეშე მსოფლიოში არსად ხვდებიან, მით უმეტეს, საქართველოს მთაში. თიანეთის საკრებულოს მთელი ხელმძღვანელობა, მათ შორის, მარინა ხარხელაური (ცაბოშვილი), რომელიც, სავარაუდოდ, პრორუსი თამაზ მეჭიაურის დავალებით (დღეის მდგომარეობით, მისი მოადგილე) არის ამ ინფორმაციის გამავრცელებელი, თავად იყო წარმოდგენილი სუფრასთან მეუღლესთან ერთად. ადგილზე საკრებულოსა და მისი აპარატის წევრებთან და სტუმრებთან ერთად, სულ მცირე, 11-12 ადამიანი იმყოფებოდა. თამაზ მეჭიაურის დღევანდელი მოადგილე იყო მუნიციპალიტეტის მხარე, რომელთანაც „NDI“ აწარმოებდა შეთანხმებას ღონისძიების ჩასატარებლად. იგივე მარინე ხარხელაური (ცაბოშვილი) იყო ამხანაგობა „ერწოს იდილიასთან“ მასპინძლობის ორგანიზებასთან დაკავშირებით მომლაპარაკებელი მხარე.

სააკაშვილის ადვოკატი ბექა ბასილაია, ერთი სადავო ხმით არჩეული თიანეთის მერი და ტელეკომპანია რუსთავი 2 ერთნაირი მონდომებით ცდილობენ მცდარი ფაქტებით გაჯერებული ინფორმაციის ზაქარია ქუცნაშვილის წინააღმდეგ გამოყენებას. საჯაროდ მოვუწოდებთ სააგენტოს, გაასწოროს მცდარ ფაქტებზე დაყრდნობით გავრცელებული ტყუილი.

**თიანეთის, ყაზბეგისა და დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატის ზაქარია ქუცნაშვილის ბიურო**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „60.000 ბავშვს შესაძლოა დიაბეტი დაემართოს“

## ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის სკანდალური განცხადება

შორენა მარსაგიშვილი

**რა პრობლემებია საბავშვო ბაღებში, რას აბრალებს ნარმანია-თორდინავას დუეტს ბაღების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი, რატომ მიმართა ნაციონალურმა მოძრაობამ პროკურატურას? – ამ თემებზე „ახალ თაობას" თბილისის საკრებულოს დეპუტატი, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.**

**ლევან ხაბეიშვილი:**

– საბავშვო ბაღებში კატასტროფული ვითარებაა და ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელი კახაბერ გვანცელაძე საკრებულოში, ფრაქციის სხდომაზე დავიბარეთ. მოსმენა შედგა 29 იანვარს. შეხვედრა 2 საათი გაგრძელდა, ის საუბრობდა, მაგრამ რეალურად არაფერზე პასუხი არ ჰქონდა.

ბოლო პერიოდში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ბაღებში კვება გაუარესდა. მერიაში ამას იმით ხსნიან, რომ ევროპელი ექსპერტების მითითებით კალორიების რაოდენობა შეცვალეს.

გვანცელაძეც ამ ექსპერტებზე აპელირებდა. როცა ჩავეკითხე, აღმოჩნდა, რომ ეს კვლევა თვალითაც კი არა აქვს ნანახი.

*– ეს რანაირად?*

– ჩვეულებრივად. გვანცელაძე ამბობს, რომ ეს ჯანდაცვის სამინისტროს პრეროგატივაა – მათ შეადგინეს კალორიების ცხრილი, მათ გამოსცეს განკარგულება და მე მათ ვეყრდნობიო. თავად კვლევაზე თქვა, იმიტომ არ წავიკითხე, ამის ვალდებულება არა მაქვსო. მერე პირადად მე მომმართა, თუ დამავალებ, ამ კვლევას წავიკითხავო.

*– თქვენ რა ქენით?*

– წაკითხვა დავავალე და ისიც დამპირდა, რომ წაიკითხავს. მისი პოზიცია ძალიან სასაცილოა, ადამიანს 60.000 ბავშვი აბარია და ისიც არ იცის, როგორ იკვებებიან ისინი. თავად დაადგინეს, რა უნდა აჭამონ ბავშვებს და ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელს ამის წაკითხვა თურმე არ ევალება.

შეხვედრაზე ასევე ვისაუბრეთ იმ პრობლემებზე, რომლებიც ბავშვების კვებასთან არის დაკავშირებული. ასეთი საშინელი სიტუაცია ბაღებში შევარდნაძის შემდეგ აღარ ყოფილა. ნარმანიას მისამართით უამრავი პრეტენზია გვქონდა, მაგრამ ასეთი რამეები მის დროსაც არ ხდებოდა.

შპს „ნილი“, რომელსაც ბავშვების საკვებით მომარაგება აქვს დავალებული, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ არის დაჯარიმებული.

ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს კომპანია „ქართული ოცნების“ შემომწირველია და ამ პარტიისთვის 150.000 ლარი აქვს გადარიცხული. რადგან „ოცნების“ დამფინანსებელია, ახლა, ფაქტობრივად, მათ ბავშვების კვების ხარჯზე ვუხდით ხარკს.

ყველამ ვნახეთ, როგორ შეიტანა ამ კომპანიამ ბაღებში რძე ღვინის შეფუთვით. მერე რაღაც სიუჟეტი იყო კვებაზე და ჟურნალისტებმა როცა იკითხეს, გუფთა თუ იყოო, ასე უპასუხეს, იყო, ოღონდ უხორცოო.

*– უხორცო გუფთა რანაირია?*



– ისეთივეა, როგორც ხაჭაპური ყველის გარეშე. სხვათა შორის, გვანცელაძის მოსვლის შემდეგ ბაღებში უყველო ხაჭაპურიც გამოჩნდა.

ბუნებრივია, ვკითხე, თუ რატომ შემოიღეს კვების ასეთი რეჟიმი. ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელმა ამიხსნა, რომ აქამდე 1.600 კალორია იყო და ის 1.300-მდე უნდა ჩამოსულიყო.

მისი განცხადებით, ის 1.600 კალორია ბავშვებში სიმსუქნეს, დიაბეტსა და სხვადასხვა სახის ავადმყოფობას იწვევდა. მისი სიტყვებით, ნარმანია და თორდინავა 60.000 ბავშვს დიაბეტის რისკის ქვეშ აყენებდნენ.

ეს განცხადება გააკეთა ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელმა. კახაბერ გვანცელაძე არ არის არც ენჯეოშნიკი და არც ლევან ხაბეიშვილი, რომ დააბრალონ, რაღაცა მოიგონა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, გვანცელაძე თანამდებობის პირია, აბარია 60.000 ბავშვი და წინა ადმინისტრაციამ მათ ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნაო.




**ლევან ხაბეიშვილი: „პროკურატურამ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ამ საქმის გამოძიება“**

*– თქვენ ამიტომ მიმართეთ პროკურატურას?*

– წესით, პროკურატურას ჩემი მიმართვის გარეშეც უნდა დაეწყო საქმის შესწავლა. როგორც კი ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელმა ეს თქვა, მაშინვე უნდა აღეძრათ სისხლის სამართლის საქმე.

ჩვენ მივმართეთ პროკურატურას და ახლა გვაინტერესებს, ვინ აგებს პასუხს იმაზე, რომ 60.000 ბავშვი დიაბეტით დაავადების საფრთხის ქვეშაა. ეს მე არ მომიგონია. ამას მოქმედი თანამდებობის პირი ამბობს.

წარმომიდგენია, რა დღეში ჩაცვივდებიან მშობლები. მეც შეშფოთებული ვარ. ჩემი შვილები სწორედ მაშინ დადიოდნენ ბაღში, როცა, გვანცელაძის თქმით, ბავშვები არასწორად იკვებებოდნენ.

*– თქვენ გჯერათ, რომ პროკურატურა ამ საქმეს შეისწავლის?*

– არ მჯერა, მაგრამ, ვალდებული ვიყავი, ეს განცხადება შემეტანა. კარგი იქნება, თუ სხვა მშობლებიც ასე მოიქცევიან. არავის აქვს უფლება, 60.000 ბავშვის ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ დააყენოს და არც „ოცნების“ შემომწირველობა აძლევს ვინმეს უფლებას, ბავშვების ჯანმრთელობის ხარჯზე მილიონები იშოვოს.

ეს ხელისუფლება ამ საქმეს არ გამოიძიებს, მაგრამ აუცილებლად მოვა ხელისუფლება, რომელიც ყველა გადაცდომას შეისწავლის.

---

ნათია ხურცილავა

# „ქვეყანაში კრიმინალური მენტალიტეტის რომანტიზება ხდება“

## გია ხუხაშვილი: „მურუსიძის უვადოდ დამნიშნავ პოლიტიკურ ძალას მორალური უფლება არა აქვს, გირგვლიანის თემით ისპეკულიროს“

**პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპარლამენტო უმრავლესობის მიერ დაანონსებულ კანონპროექტზე საუბრობს, რომელსაც „გირგვლიანის პაკეტი“ ეწოდება.**




***– ბატონო გია, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა მდინარაძე იდეით გამოვიდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ე.წ. გირგვლიანის შესწორებები შევიდეს, რაც ითვალისწინებს მაღალჩინოსნების მიერ გამოძიებისთვის ხელის შეშლის შემთხვევაში სანქციების გამკაცრებას. რა შეგიძლიათ გვითხრათ, ეს არის ერთგვარი პოლიტიკური სვლა თუ რეალური სურვილი, რომ ხელისუფლებას მსგავსი სისტემური დანაშაულის სურვილი არ გაუჩნდეს?***

– თავისთავად ამ იდეაში ცუდი არაფერი არ არის, რომ ხელისუფლების პასუხისმგებლობა, კონტროლი გამკაცრდეს. ამ მიმართულებით კრიტიკას ნამდვილად არ დავიწყებდი. თუმცა, კანონმდებლობა არ არსებობს. ჩვენ არ ვიცით, რა შინაარსი დევს და რას გვთავაზობენ, მაგრამ იდეა გახმოვანებულია, თან ისეთი სახელწოდებით, რომ უნდა ვივარაუდოთ, გამხმოვანებელს პოლიტიკური მოტივი ჰქონდა. აბსოლუტურად არ იყო მზად. მით უმეტეს დეპუტატი, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი საუბარს იწყებ კანონპროექტზე, მაშინ კანონპროექტი ხელში მაინც უნდა გეჭიროს. ასეთი კანონპროექტი არ არსებობს. ფაქტიურად მოვისმინეთ პოლიტიკური განცხადება, მაგრამ იმის იქით არაფერი არ ვიცით.

*– მაშინ რასთან გვაქვს საქმე?*

– პოლიტიკის პრიზმაში უნდა განვიხილოთ ეს საკითხი, ყოველ შემთხვევაში ჯერ, რადგან საკანონმდებლო კუთხით ვერაფერს ვიტყვით. ძალიან არასასიამოვნოა, როდესაც ჯერ არაფერი არ არის დაწერილი და ამ პაკეტს ვიღაცამ უწოდა „გირგვლიანის პაკეტი“. სიმართლე გითხრათ, ცოტა ცინიკურია ეს ყველაფერი, მით უფრო იმ მოცემულობაში, რომელშიც ვართ. თავის დროზე სტრასბურის სასამართლომ დაადგინა, რომ გირგვლიანის წინააღმდეგ სისტემური დანაშაული იყო ჩადენილი. ხელისუფლების ყველა შტო დანაშაულის დაფარვაში იყო ჩართული. ამ სისტემურ დანაშაულში ჩართული იყო პროკურატურა, სასამართლო, პოლიცია, საკანონმდებლო ორგანო და ამ ფონზე, ჩვენ ვიცით, რომ ბევრი ადამიანი, რომელიც მაშინ ჩართული იყო ამ დანაშაულში, დღეს, მარგველაშვილისგან განსხვავებით, თუ მდინარაძე აქეთ-იქით კარგად მიმოიხედავს, გვერდით აღმოაჩენს მისსავე ხელისუფლებაში. ეს ადამიანები ამ დანაშაულის თანამონაწილე იყვნენ. მხოლოდ მურუსიძეზე არ ვაკეთებ აქცენტს, ბევრი სხვა გვარის დასახელებაც შეიძლება.

მე შემიძლია ხელისუფლებას იდეა შევთავაზო: დავწეროთ შესაბამისი კანონპროექტი და შევქმნათ სია, რომელსაც პირობითად „გირგვლიანის სია“ ვუწოდოთ და დავსაჯოთ რაღაც ფორმით ყველა ის პირი, რომელიც ამ დანაშაულში იყო ჩართული. მურუსიძე აღაზევა ამ ხელისუფლებამ და ლამის სასამართლო სისტემის კოორდინატორი გახდა, მაგრამ სხვებიც არიან.

*– მაგალითად?*

– თუნდაც, ციხის თანამშრომლები, ციხის უფროსი, როდესაც მსჯავრდებულები ქეიფობდნენ ციხეში, განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებოდნენ, ეს ხომ იყო კანონდარღვევა. ასევე, პროკურატურის ხელმძღვანელობა, რომელიც ყველაფერს აკეთებდა, რომ ამ ხალხს ე.წ. უდო შეხებოდა. ამიტომ ვამბობ, რომ ამ ფონზე ცინიკურია ეს ყველაფერი. ამ ხალხის ლობისტების მხრიდან გირგვლიანის თემით ხდება სპეკულირება, რეალურად კი სულ სხვა ამოცანებია დასახული. თუ ასე არ არის, მაშინ სააკაშვილს, რომელსაც მიუსაჯეს, გვერდით მურუსიძე და სხვები მიუსვან. ეს ადამიანები ცნობილია, შევქმნათ სია და სანქციებში მაინც მოვაყოლოთ, მაგალითად, აეკრძალოთ საჯარო სექტორში მუშაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ყველაფერი ფარსის სახეს მიიღებს.

*– გულწრფელი არ არის ხელისუფლება თუ მდინარაძე ამ შემთხვევაში?*

– როგორ შეიძლება გულწრფელობაზე ვიფიქროთ?! ჩემთვის ყველაზე მეტად აღმაშფოთებელი იყო, როდესაც ამ კონტექსტში ბატონმა მდინარაძემ პრეზიდენტი მარგველაშვილი მოიხსენია. როდესაც, ამ ტრაგედიის გამო ჩვენ სისტემას, რეჟიმს ვებრძოდით, მაშინ ჩვენს რიგებში გიორგი მარგველაშვილი იდგა, რომელიც ჩვენთან ერთად იბრძოდა, რის გამოც სამსახური დაკარგა.

*– იმის თქმა გინდათ, რომ მამუკა მდინარაძე არ იყო ამ რიგებში?*

– მე რამდენადაც ვიცი, მდინარაძე იმ პერიოდში იქით მხარეს იყო. თუ არ იყო, მაშინ გამოვიდეს და თქვას. ალბათ, მაშინ, მდინარაძეს ჩვენი მოქმედებები ძალიანაც აღიზიანებდა. დღეს რომის პაპზე უფრო მეტი კათოლიკეები უნდათ იყვნენ! საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გამო გირგვლიანის სახელს ნუ ატრიალებენ. მურუსიძის უვადოდ დამნიშნავ პოლიტიკურ ძალას არანაირი მორალური უფლება არა აქვს, რომ გირგვლიანის თემით ისპეკულიროს. არ თქვა ახლა, რომ სასამართლო სისტემა თავისუფალია და მათ არანაირი წვლილი არ მიუძღვით მურუსიძის დანიშვნაში.

*– ერთგვარი პიარის მცდელობა, შესაძლებელია ანტიპიარი გამოუვიდეთ?*

– ეს იყო წმინდა წყლის პიარი და თუ ეს პიარი არ არის, მაშინ გავაკეთოთ სია, ვინც ამ სისტემურ დანაშაულში იყო ჩართული და ყველა ამ ხალხს თავისი ადგილი მივუჩინოთ. მით უმეტეს, კანონი ჯერ არ არსებობს და როდესაც ამას წინასწარ უკვე სახელს არქმევ და ამის შესახებ აცხადებ, ე.ი. პოლიტიკური მიზნები გაქვს. მე კითხვა მიჩნდება, რატომ მაინცდამაინც ახლა? მე ვფიქრობ, რომ ეს იყო პოლიტიკური კონკურენციის გამოვლინება.

*– ვინ არის კონკურენტი?*

– მათ გახარიაში დაინახეს პოლიტიკური კონკურენტი. გახარიამ, როგორც ცნობილია, დაიწყო გარკვეული მოძრაობა, ცვლილებები და ამათაც დაიწყეს – ჩვენც არ ჩამოვრჩეთო! ამიტომ იყო, რომ სრულიად მოუმზადებლად გაახმოვანეს ეს ყველაფერი. მდინარაძეს რომ ჰკითხოთ, უფრო დეტალურად რას გულისხმობს შინაარსი, როგორი უნდა იყოს კანონი, დარწმუნებული ვარ, ვერაფერს დაამატებს იმას, რაც უკვე გაახმოვანა და თქვა.

***– როდესაც გახარია დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად, ბევრი ვერსია იყო, რომ გახარია არის პოლიტიკური ფიგურა, რომ მას პრემიერად ამზადებენ და ა.შ. მან დადო რეფორმების პირობა და ამ მიმართულებით გარკვეული მოძრაობები არის. ასევე თქვა, რომ დანაშაულის სტატისტიკას გამოაქვეყნებდა. ორი წელი, მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო სექტორი ითხოვდა სტატისტიკის გამოქვეყნებას, არ ქვეყნდებოდა. გუშინ გამოქვეყნდა. რას ფიქრობთ, რეალურად რა ხდება?***

– ჯერჯერობით, მე არ მინდა დასკვნების გაკეთება. რაც ამ ეტაპზე შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ მე ვხედავ, მას აქვს მცდელობა, რომ შეაკავოს ეს საკმაოდ არასასიამოვნო პროცესი კრიმინალთან დაკავშირებული. ასევე აქვს მცდელობა, რომ ყველაზე დიდი პრობლემა სადაც არის, კრიმინალურ პოლიციას ვგულისხმობ, რაღაც შეცვალოს და გააკეთოს, რეორგანიზაცია მოახდინოს. ამ მცდელობას ვხედავ. ასევე, აქვს საკმაოდ სწორი გზავნილები, სურვილები, მაგრამ ვნახოთ.

*– რამდენად შეძლებს?*

– ეს არის მთავარი კითხვა, რამდენად შეძლებს! ჩვენ სამართლიანები რომ ვიყოთ, მას გარკვეული დრო უნდა მივცეთ, რათა ეს ყველაფერი შეასრულოს. ასევე უნდა შევუქმნათ იმის კომფორტი, რომ საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ამ გზაზე გახდება საჭირო, ამ ამოცანების შესასრულებლად იქნება საჭირო, ეს ინსტრუმენტებიც უნდა ჰქონდეს. ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებს, წინასწარ არანაირი გარანტია არ გვაქვს, რომ გახარია ამ ამოცანებს შეასრულებს და ის ამას შეძლებს. თუმცა, ჯერ ძალიან ცოტა დროა გასული საიმისოდ, რომ მისი საქმიანობა შევაფასოთ. დღეს გახარიას შეცდომებსა და არაეფექტურობაზე რომ ვილაპარაკოთ, ეს ძალიან ნაადრევი იქნება. სისტემა საკმაოდ მორყეულია, ბოლო პერიოდში კრიმინალური მენტალიტეტის რომანტიზება თითქოს შემობრუნდა, ეს განსაკუთრებით სახიფათოა ახალგაზრდა თაობაში. ამ ყველაფერთან შებრძოლებას დრო სჭირდება. ვნახოთ, ეს ყველაფერი საკმაოდ რთულია ან შეძლებს, ან ვერა. ამიტომ, ჩვენ ვერ ვიქნებით ვერც ზედმეტად ოპტიმისტები და ვერც პესიმისტები. გარკვეული დრო მივცეთ და დაველოდოთ.

# რამდენი დახარჯა თბილისმა აფხაზეთში ფაროსანასთან საბრძოლველად

გულიკო ბალაძე

**„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში დამოუკიდებელმა ექსპერტმა მამუკა გვაძაბიამ განაცხადა, რომ ფაროსანას წინააღმდეგ ოკუპირებულ აფხაზეთში ფული გადაიგზავნა და დაიკარგა, რადგან ამ ღონისძიებას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.**

საკითხის გასარკვევად „ახალი თაობა“ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის უფროს ვალერი ბასარიას დაუკავშირდა.

***— ბატონო ვალერი, „ახალ თაობას“ აინტერესებს ინფორმაცია აფხაზეთში ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად გადარიცხული თანხის მოძრაობაზე, მიზნობრივ ხარჯვასა და მიღებულ შედეგებზე. ჩვენთან ინტერვიუში დამოუკიდებელმა ექსპერტმა განაცხადა, რომ აფხაზეთში გადაგზავნილი ფული დაიკარგა, აფხაზეთში თანხის გადარიცხვას თუ გაგზავნას რეალურად არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. რა ინფორმაციის მოწოდება შეგიძლიათ?***

— აფხაზეთის ტერიტორიაზე აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლა ეროვნული ქვეპროგრამის ნაწილი იყო. სამწუხაროა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ჩვენთან გადამოწმების გარეშე გავიდა. ნებისმიერ პირს, რომელიც ინტერვიუს აძლევს, შეუძლია ინტერნეტში ნახოს ინფორმაცია. თუმცა, არის დახურული ინფორმაციაც, რომლის გახმაურება მიზანშეწონილი არ არის. ფაროსანას წინააღმდეგ ღონისძიებები ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე დაიგეგმა 6 ათასი ჰექტარი თხილის პლანტაციის შეწამვლა.

შესაწამლი პრეპარატის ეფექტური გამოყენების მიზნით სახელმწიფომ ბიუჯეტიდან გამოყო თანხა პესტიციდით ტერიტორიის შესაწამლად. ჩვენ შევარჩიეთ პირები, დაახლოებით თვე-ნახევრის განმავლობაში ვმუშაობდით სამუშაო ჯგუფის შედგენაზე. მათთან გავაფორმეთ ხელშეკრულებები, რომელშიც ჩაიწერა მათი მონაცემები და რამდენი ფართის შეწამვლა დაევალა. დაიწერა ხელწერილები და შედგა მიღება-ჩაბარების აქტი. ტერიტორიები შეიწამლა. ყველა დოკუმენტი, აქტები და ხელწერილები ჩვენთან დევს.

***— რა რაოდენობის თანხა გაიცა? თანხა პირადად გადაეცით თუ რა მეთოდებით გადაიგზავნა ფული აფხაზეთში?***

— სულ შერჩეული იყო 198 ფიზიკური პირი. მათთან გაფორმდა ინდივიდუალური ხელშეკრულებები. გამოიყო 179.750 ლარი. ამ ინფორმაციის გამოქვეყნება ცოტა კორექტული არ იქნება. თქვენ თვითონ განსაჯეთ, რამდენად კორექტული იქნება.

***— თქვენ ინფორმაციას მაწვდით. თქვენ განსაჯეთ, შეიძლება თუ არა გამოქვეყნება, მე თავისუფალი ჟურნალისტი ვარ. თუმცა, ამ ქვეყნის მოქალაქეც ვარ და თუ რაიმეს გამოქვეყნება არ შეიძლება, არ გამოვაქვეყნებ, მაგრამ თქვენ მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში ბევრი რამ დაკონკრეტებული არ არის. არც გთხოვთ დაკონკრეტებას.***

— თანხა გამოიყო ფაროსანას წინააღმდეგ ოპერაციის განსახორციელებლად. თანხა გამოყოფილი იყო არა აფხაზეთის მთავრობის ბიუჯეტიდან ან ევრობანკიდან, არამედ ცენტრალური ბიუჯეტიდან. გამოყოფილი თანხის შესაბამისად, შევაგროვეთ ის პირები, რომლებსაც უნდა შეესრულებინათ სამუშაო. მათ ჩავუტარეთ ოთხჯერადი ტრენინგი. პრეპარატი, რომელიც გამოიყენება ფაროსანას წინააღმდეგ, ბიფენტრინის შემცველია, რომელიც ანადგურებს ფაროსანას.

***— როგორ მოახერხეთ თანხის კონტროლი ოკუპირებულ ტერიტორიაზე?***

— ჩვენ საქმე გვქონდა გარკვეულ ფიზიკურ პირებთან, რომლებსაც თანხა ჩაერიცხათ შემწეობის სახით იმის მიხედვით, ვინ რამდენი ფართობის შეწამვლა შეძლო. ამ ჯგუფის ყველა წევრს დაურიგდა სტანდარტული ფორმით შედგენილი ხელშეკრულება, რომელსაც ის აფორმებდა იქ მცხოვრებ მოსახლეობასთან, მათთან, ვისი კარ-მიდამოს შეწამვლაც მოხერხდა. ამის შემდეგ განხორციელდა ამ თანხის დამოუკიდებელი მონიტორინგი. პლანტაციების შეწამვლა გალის რაიონის 24



სოფელში ხდებოდა. 24 სოფლის გადამოწმება შეუძლებელი იყო, მაგრამ დავავალეთ გარკვეულ ადამიანებს და ინფორმაცია გადავამოწმეთ. დამოუკიდებელმა მონიტორინგმა ზოგიერთ შემთხვევაში დაადასტურა ხარვეზი.

***— ხარვეზი რით გამოიხატა?***

— თანხები არ ჩარიცხულა, სანამ არ განხორციელდა ყველაფერი, მაგრამ ზოგიერთმა გამოიყენა სიტუაცია, იფიქრეს, ოკუპირებული ტერიტორიაა, ვინ შეამოწმებსო და ზოგიერთ შემთხვევაში, როცა, დავუშვათ, შეწამლეს 15 ჰექტარი, ჩაწერეს 25 ჰექტარი.

***— „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ითქვა, რომ ფული დაიხარჯა და შედეგი არ მოჰყოლია. ფულის მიზნობრივ ხარჯვას შედეგის მიხედვით ვსაზღვრავთ.***

— შეწამვლის ღონისძიება ტარდებოდა აფხაზური ადმინისტრაციის თანხმობით.

***— როგორ დათანხმდნენ?***

— თანხმობა გამოიხატებოდა იმით, რომ შუამავლები იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, დონორი ორგანიზაციები. ღონისძიება, სამწუხაროდ, ცოტა ხარვეზებით ჩატარდა. ჩვენ გვინდოდა, ტერიტორია შეწამლულიყო არა მარტო გალის ადმინისტრაციის ფარგლებში, არამედ ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებშიც, მაგრამ არ დათანხმდნენ. მხოლოდ გალის რაიონის პლანტაციების შეწამვლა, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა სრულყოფილი და სასურველი შედეგის მომტანი.

***— ერთჯერადი შეწამვლა ჩაატარეთ?***

— დიახ. სპეციალისტების აზრით, მინიმუმ სამჯერადი შეწამვლა უნდა განხორციელებულიყო. ჩვენ მხოლოდ ერთჯერადი წამლობის ჩატარება მოვახერხეთ. ამიტომ მოლოდინი იმისა, რომ სასწაული შედეგი იქნებოდა, არ უნდა გვქონოდა და ფაროსანას საბოლოოდ დავამარცხებდით. ამის ილუზია თავიდანაც არ გვქონდა. ფაროსანას ამერიკა 19 წელია ებრძვის, მაგრამ მაინც კატასტროფული სიტუაციაა. სახელმწიფო ბიუჯეტმა გამონახა პატარა თანხა, ამერიკის სააგენტომ გამოგვიყო ტექნიკა და ერთჯერადი წამლობა ჩავატარეთ. ამ პირობებში, რა თქმა უნდა, ვერ გავაკეთებდით ასპროცენტიანად. სპეციალისტები ამბობენ, ამაზე მეტს თქვენ ვერ მოახერხებდითო.

***— ზოგადად, ფაროსანასთან დაკავშირებით აფხაზეთში როგორი მდგომარეობაა?***

— აფხაზეთში გაცილებით რთული ვითარება გვაქვს, ვიდრე იყო შარშან. ზედა ზონაშიც რთული ვითარებაა შექმნილი. იქ ვითარების შესაცვლელად საკმარისი არ არის მხოლოდ სამუშაო ჯგუფები. დამატებითი ტექნიკის გამოყენებაზეა საუბარი. ტექნიკის გამოყოფა, იქ განთავსება, წამლის შეძენა საკმაოდ რთულ ლოჯისტიკასთან არის დაკავშირებული. ეს არის მრავალწლიანი მძიმე საქმიანობა. ზოგი მადლობას გვიხდის, ზოგი ამბობს, საკმარისი არ არისო, ზოგიც აცხადებს, საერთოდ არაფერი გაუკეთებიათო.

გალის რაიონში დაახლოებით 8.500 სხვადასხვა მასშტაბის მიტოვებული შენობა-ნაგებობა და ტერიტორიებია. ძირითადად იმ ქონების მეპატრონეები თბილისში, ქუთაისში მცხოვრები დევნილები არიან. ზოგს შეუძლია გადასვლა. ზოგი ადამიანი ზუგდიდში ცხოვრობს, მაგრამ აქვს ფორმა 9 ან აფხაზური პასპორტი, მიდის თავის მიტოვებულ სახლში და ხედავს, რომ მის ნაკვეთს არაფერი ეტყობა. ასეთ ადამიანებს აბსოლუტურად არგუმენტირებული პრეტენზია აქვთ.

***— რამდენი ჰექტარი უნდა შეგეწამლათ და რამდენი შეწამლეთ?***

— ჩვენ სახელმწიფომ გამოგვიყო თანხა. თავიდან დაგეგმილი იყო 6.000 ჰექტარის შეწამვლა. სინამდვილეში 3.600 ჰექტარის შეწამვლა მოვახერხეთ. რა თქმა უნდა, ის შედეგი არ არის, რომელსაც ელოდა მოსახლეობა. არსებულ ვადაში 60%-ის შეწამვლა მოვასწარით. დანარჩენისთვის არც ფული გვეყო და არც – დრო. ერთი თვით ადრე, სანამ მოსავლის აღება მოხდება, შეწამვლა აკრძალულია. ამასობაში თხილს ზიანი მიაყენა არა მარტო ფაროსანამ, არამედ სოკოვანმა დაავადებებმაც. ეს კომპლექსური პრობლემაა, რომელიც წელსაც იქნება და მომავალ წელსაც. აფხაზეთში აზიურ ფაროსანასთან მხოლოდ ერთჯერადი ბრძოლით პრობლემა არ გადაწყდება. თუ არ მოხდა კომპლექსური პრეპარატების შემოტანა და მრავალჯერადი შეწამვლა, სასურველი შედეგი არ იქნება. ამიტომ, იმის თქმა, რომ არაფერი გაკეთებულა, შეიჭამა და გაიფლანგა, სწორი არ იქნება. ეს უმძიმესი თემაა.

***— აფხაზური მხარე მზად არის ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში თანამშრომლობისთვის?***

— არცერთი აფხაზური სტრუქტურა ამას არ დაგიდასტურებთ. ჩვენ შუამავლად საერთაშორისო ორგანიზაცია გვყავს და მისი მეშვეობით ხორციელდება შეწამვლითი სამუშაოები.

***— რუსული მხარის გარეშე აფხაზეთში არაფერი ხდება. ყველაფერი მასთან არის დაქვემდებარებული. რაიმე როლი ჰქონდა რუსულ მხარეს ამ საკითხში, ანუ დათანხმდნენ ამ პრობლემის გადაჭრას?***

— თავიდან ყველაზე მეტად რუსული მხარის ბარიერის მეშინოდა. ისედაც რთული ურთიერთობებია აფხაზურ მხარესთან, მით უმეტეს, რუსებიც თუ ჩაერეოდნენ, უფრო გართულდებოდა. მაგრამ იმ მომენტში მოსახლეობაში დაიძაბა სიტუაცია, ქვედა ზონის მოსახლეობამ დაინახა, რომ წარმოუდგენელ პრობლემასთან გვქონდა საქმე, ამიტომ იმ პრეპარატების, ამუნიციისა და აპარატების გადატანა აბსოლუტურად უმტკივნეულოდ მოხდა. რუსულ მხარეს ხელი არ შეუშლია. ერთადერთი, იმ ტერიტორიაზე, სადაც განლაგებულია რუსული ბაზები, მაინცდამაინც არ მიესალმებოდნენ შეწამვლით სამუშაოებს, მაგრამ, როცა დაინახეს, სხვა გამოსავალი არ იყო, ხელი ჩაიქნიეს და ხელი აღარ შეუშლიათ. ამდენად, იმ ტერიტორიის შეწამვლაც შეძლეს.

***— წელს რა მოხდება?***

— წელს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ სამუშაოები სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სხვაგვარად არის დაგეგმილი. ფაროსანა უკვე აღმოსავლეთ საქართველოშია გადმოსული. ახლა საქმე კახეთის გადარჩენაზეც არის. ფაროსანა დიდი სისწრაფით ვრცელდება. ეს არ არის ამერიკული პეპელა. ოკუპირებულ ტერიტორიაზე, დაწყებული გალიდან, ფსოუმდეა გავრცელებული.

***— ე.ი. ფაროსანამ საზღვრები არ იცის და აფხაზების ინტერესშიც არის მის წინააღმდეგ შეწამვლითი სამუშაოების ჩატარება.***

— რა თქმა უნდა. წარმოიდგინეთ, აფხაზეთში ბავშვებს ლეღვი არ გაუსინჯავთ. ფაროსანამ ყველაფერი გაანადგურა. ციტრუსები გაანადგურა – მანდარინი ჩამოყარა. თხილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ვინც იქ ცხოვრობს და ნახევარი, ერთი ჰექტარი თხილის ფართობები გააჩნია, ძირითადი შემოსავალი თხილია. ადამიანი ელოდება, გაყიდოს და ბავშვებისთვის რამე იყიდოს. ამ დროს ფაროსანამ ყველაფერი გაანადგურა. .

## დიმიტრი ქუმსიშვილი ენგურჰესის აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ მონაკვეთს ეწვია



აფხაზეთში დიმიტრი ქუმსიშვილი ადგილობრივი ენერგოკომპანიის „ჩერნომორენერგოს“ დირექტორ ასლან ბასარიასა და კომპანიის სხვა წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი წარიმართა ენგურჰესის რეაბილიტაციის პროცესისა და აღნიშნულ პერიოდში აფხაზეთის რეგიონის ენერგორესურსებით უზრუნველყოფის ტექნიკურ დეტალებზე, აგრეთვე ზამთარში რეგიონის ელექტროენერგიით მომარაგებისა და 2019 წელს ენგურჰესის სადერივაციო გვირაბის სარემონტო სამუშაოების განხორციელების საკითხებზე.

პირველმა ვიცეპრემიერმა აგრეთვე დაათვალიერა გალის რაიონის სოფელ საბერიოში ენგურჰესის ელექტროსადგური და სხვა ენერგო და ჰიდრონაგებობები. მასთან ერთად აფხაზეთში იმყოფებოდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე რომეო მიქაუტაძე.

## „აქამდე „ოცნებას“ უუნაროს ვეძახდი, მაგრამ ის უკვე მავნებლად გადაიქცა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მაღალი სამშენებლო სტანდარტების დაწესება და ხარისხის მკაცრი კონტროლი. სამშენებლო სექტორში დაბალი სტანდარტების დაწესებამ, სანებართვო პირობების გაუქმებამ, გამარტივებამ შესაძლოა თავის დროზე რიგ დარგებში გარკვეული შედეგი მოიტანა, შეამცირა კორუფციული რისკები, თუმცა ამ ყველაფერს შედეგად სრული განუკითხაობა და სამშენებლო სექტორში ძალიან დაბალი სტანდარტების დამკვიდრება მოჰყვა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ზარქუამ.

მისივე განმარტებით, დღეს ზემოხსენებული რისკფაქტორი მინიმალიზებულია.

საკრებულოს ყოფილი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი მიიჩნევს, რომ მომხდარის გამო თბილისის ყოფილი მერი დავით ნარმანია ციხეში უნდა წავიდეს.

ელისაშვილის მიერ საციხედ გამეტებულმა დავით ნარმანიამ მედიასთან კომენტარი გააკეთა და ის მიზეზები განმარტა, რომელთა გამოც მეტროსადგურების რეაბილიტაციის გადაწყვეტილება მიიღეს.

ის ამბობს, რომ „ვარკეთილისა“ და „ახმეტელის თეატრის“ რეაბილიტაცია იმიტომ განხორციელდა, რომ იქ კრიტიკული მდგომარეობა იყო.

– ერთხელ ვიმყოფებოდი ობიექტზე, ისევე, როგორც ამ კომპანიის მიერ შესრულებულ წინა ობიექტებზე – ახმეტელის მეტროში. ჩვენ ამ მეტროსადგურების რეაბილიტაცია დავიწყეთ, იმიტომ რომ იქ იყო ძალიან კრიტიკული მდგომარეობა. ჩვენი წინამორბედების პირობებში შესრულებული სამუშაოების შედეგად მძიმე მდგომარეობა იყო, არსებობდა აალების საფრთხე ამ სადგურებში, ვინაიდან აალებადი მასალებით იყო შესრულებული.

გარდა ამისა, ჩამოდიოდა წყალი. სწორედ ამიტომ შედგა საპროექტო დოკუმენტაცია, ჯერ პროექტი იქნა შესყიდული, ამის მერე ტენდერი გამოცხადდა. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ კი სამუშაოები შეასრულა. მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და სხვა დეტალებზე, რაც მე არ მახსოვს და ვერ მემახსოვრება, იმიტომ, რომ მერიაში ძალიან ბევრი ასეთი სამუშაო წარმოებდა, უმჯობესია, სატრანსპორტო კომპანიას ვკითხოთ. მერიის ზედამხედველობის სამსახურის შემოწმების ქვეშ არ იყო ეს ობიექტები. მას კანონით სხვა ფუნქციები აკისრია, – აღნიშნა ნარმანიამ.

როგორც ირკვევა, მეტროსადგურ „ვარკეთილში“ კომპანია „ყვარელრემშენის“ მიერ ჩატარებულ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით 4 დასკვნა არსებობს. ეს დასკვნები 2 კომპანიას აქვს გაცემული.

ორივე კომპანიაში აცხადებენ, რომ მათთვის ამ საქმესთან დაკავშირებით კითხვები არ დაუსვამთ. ისინი განმარტავენ, რომ მათ მხოლოდ სამუშაოს მოცულობებისა და ხარჯთაღრიცხვის შემოწმება ევალებოდათ.

რუსთავი 2-თან საუბარში შპს „რეალ-ექსპერტის“ ადმინისტრაციული დირექტორი მაია ნიკოლეიშვილი აცხადებს, რომ აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით 3 დასკვნა გასცეს.

– ჩვენი დასკვნა მხოლოდ მოცულობების შესრულებას ადასტურებდა და ხარჯთაღრიცხვის ნაწილში მივეცით სხვაობა ანუ დავაკელით, – განაცხადა ნიკოლეიშვილმა.

მისი თქმით, მათ შიდა სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებით დასკვნა არ გაუციათ.

– ჩვენ მიერ გაცემულ დასკვნაზე აბსოლუტურად თავიდან ბოლომდე ვაგებთ პასუხს. საბოლოოდ, კიდევ სხვა ორგანიზაციამ გასცა. ჩვენთვის უცნობია ეს დასკვნა, მაგრამ ჩვენ მივეცით ის, რომ გზადაგზა შესრულებული სამუშაოები არ იყო იმ თანხის და ჩვენ ნაკლები თანხები, საკმაოდ კლება გავაკეთეთ, – განაცხადა მაია ნიკოლეიშვილმა.

ერთი დასკვნა აქვს გაცემული სამშენებლო ექსპერტიზის ბიუროს. მისი დირექტორი, ზურაბ ამირანაშვილი, აღნიშნავს, რომ მეტრო „ვარკეთილში“ მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით ერთი დასკვნა გასცეს.

– გავეცით მოცულობასთან დაკავშირებით, უბრალოდ, რამდენი კვადრატული იყო შეღებილი ან ა.შ. მეტს ჩვენ არაფერს ვიძლევით. არც ის სამუშაოები შეგვიმოწმებია ჩვენ თვითონ, კარკასი როგორ იყო კონსტრუქციაზე გაკეთებული. ჩვენამდე სხვას აქვს ეგ ექსპერტიზა ჩატარებული, – ამბობს რუსთავი 2-თან საუბარში ზურაბ ამირანაშვილი.

ჭერჩამოქცეული მეტროსადგური „ვარკეთილი“ მუშაობას დღეს, 31 იანვარს, განაახლებს.

## იუსტიციის სამინისტროსა და სახლს თანამშრომლისთვის 55 ათასი ლარის გადახდა დაეკისრათ



იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის სახლს თანამშრომლის უკანონო გათავისუფლების გამო 55.000-ლარიანი კომპენსაციის გადახდა დაეკისრათ.

ამის შესახებ ინფორმაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ავრცელებს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ იურისტების ოლიკო შერმადინის და თეონა ზაქარაშვილის დახმარებით, მოქალაქე ქეთევან კობახიძემ 3-წლიანი დავა მოუგო საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სსიპ. იუსტიციის სახლს. მოპასუხეებს ქეთევან კობახიძის უკანონო გათავისუფლებისთვის დაევალათ კომპენსაციის სახით 55.000 ლარის ანაზღაურების გადახდა.

– ქეთევან კობახიძე 2013 წლის 14 იანვრიდან კონკურსის წესით დაინიშნა სსიპ. იუსტიციის სახლის იურიდიული სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. ხოლო 2014 წლის 2 ივნისს იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით ადმინისტრაციული გადაცდომის მოტივით გაათავისუფლეს თანამდებობიდან. თბილისის საქალაქო სასამართლომ ქეთევან კობახიძის სარჩელი არ დააკმაყოფილა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ გააუქმა, რადგან ქალბატონი ქეთევანის გათავისუფლება უკანონოდ მიიჩნია, – ნათქვამია ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# „ხელისუფლებასაც უნდა ეშინოდეს და ოპოზიციასაც, რომ ხალხი მათ ერთიანად გადაუვლის“

## ზაზა ხატიაშვილი: „ნარკოტიკების ლეგალიზება საქართველოს დაღუპავს“



ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის" კითხვებს უფლებადამცველი, ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი ზაზა ხატიაშვილი პასუხობს.**

***– ბატონო ზაზა, თქვენ ერთ-ერთი პირველი იყავით, ვინც ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას დაუპირისპირდა. დღეს უკვე საზოგადოების დიდი ნაწილი უკმაყოფილოა ხელისუფლებით. რას იტყვით თქვენ?***

– ყველაზე დიდი უბედურება ამ ქვეყანაში არის პოლიციური ძალადობა, რომელსაც არ ეშველა! ვანო მერაბიშვილის დროს, როდესაც აწამეს ქიმერიძე, თქვენ გახსოვთ აცრემლებული ივანიშვილი. მან განაცხადა, მე რომ მოვალ, ეგეთი რამეები არ მოხდებაო. ივანიშვილის მოსვლამდე ორი საქმე მოვიგე სტრასბურში. ერთი იყო მიქიაშვილის საქმე და მეორე იყო დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ. რა გააკეთა სახელმწიფომ? ნაცვლად იმისა, რომ რევაზ ქობულია და მჟავია, რომელთაც ხელს ადებდა დვალიშვილი, რომ ამ ადამიანებმა აწამეს, ეს ადამიანები ივანიშვილის მთავრობაში მოსვლის შემდეგ დააწინაურეს! კერძოდ, ქობულია დაინიშნა პოლიციის უფროსად წყალტუბოში, ხოლო მჟავია იყო ერთ-ერთი ქვეგანყოფილების უფროსი.

6-7 თვის მოსული იყო ივანიშვილი და პირველი აქცია სწორედ მე ჩავატარე და ვთქვი, რომ ამ კაცს ქვეყანა მიჰყავს პოლიციური ძალადობის დაკანონებისკენ. ეს გამოიწვევს პოლიციელების წახალისებას და უმართავ პროცესს მივიღებთ-მეთქი.

***– ასე მოხდა?***

– მაშინ ისეთი ეიფორია იყო საქართველოში ივანიშვილის გამარჯვებით, რომ პირიქით, ხალხმა მე დამიწყო ლანძღვა, ბიძინაზე მაგას რატომ ამბობო. დღეს უბრალოდ აღმოვჩნდით იქ, რასაც მე ვპროგნოზირებდი ხუთი წლის წინ!

***– პოლიციის მხრიდან ძალადობას აქვს ადგილი?***

– პოლიციური ძალადობა ასულია იმ დონეზე, კახა თარგამაძის დროს რომ იყო. მერაბიშვილის პოლიციაში არ იყო ასეთი წამება და არაადამიანური მოპყრობა. ან ცოცხალი ვერ გამოხვალ, ან გამოხვალ „სინიაკებით“ და მადლობასაც ეტყვი, თუ დაჭერას გადაურჩი. პროკურატურა ამ საქმეებს არ იძიებს. პროკურატურა იქცა პოლიციელების მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის გამთეთრებლად და მფარველად. სულ ვამბობდი, რომ ის პროკურორები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის დროს ადამიანებს უკანონოდ ასამართლებდნენ, უნდა მოშორდნენ-მეთქი სისტემას, არავინ დამიჯერა. ადამიანებს რომ ქონებას ართმევდნენ შუალამისას, ასეთი პროკურორების სისტემაში დატოვებამ გამოიწვია ის, რომ ქვეყანაში წავიდა უმართავი პროცესები. თუ არ არის სამართალი, მაშინ ქვეყნის განვითარება არის წარმოუდგენელი! გირგვლიანის ამბავი რომ მოხდა, მაშინ სააკაშვილს მივწერე, რომ იცოდე, შენ მურუსიძე გაგასამართლებს-მეთქი. ხომ გაასამართლა ლევანა მურუსიძემ და რიგითმა მიხეილ ჩინჩალაძემ?! ასევე ვეუბნები ივანიშვილსაც, რომ შენ გაგასამართლებს რიგითი მურუსიძე ან ჩინჩალაძე! ისეთი პროცესებია დაწყებული, რომ ეს კარგს არაფერს მოიტანს.

***– ვერ აკონტროლებენ სიტუაციას?***

– პოლიცია სრულიად უმართავია! დანაშაულს დანაშაულზე ჩადის პოლიცია, მაგრამ ეს ხელისუფლება მტკიცებულებებს შლის! რატომ იშლება სამხრე კამერების მიერ გადაღებული ჩანაწერები? ან სულაც გამორთული აქვთ კამერები. ივანიშვილს ძალიან შეეშინდა, რომ მალე დადგებოდა მათი პასუხისმგებლობის საკითხი და სასწრაფოდ შეცვლა შინაგან საქმეთა მინისტრი თავისი ფინანსური ბანკირით. სიტუაცია ისეთი არეულია, გახარიას გულითაც რომ უნდოდეს, ველარ დაალაგებს.

***– კრიმინოგენური ფონიც მძიმეა ქვეყანაში.***

– ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო. რომ იგრძნეს, რა სიტუაციაცაა ქვეყანაში, ისინიც გააქტიურდნენ. 19 წლის ბავშვები მოიყვანეს პოლიციაში ინსპექტორ-გამომძიებლებად. ამ ასაკის ბავშვმა დანაშაული როგორ უნდა გამოიძიოს? ეს იგრძნო დამნაშავეთა სამყარომ და კი ვხედავთ, რა მდგომარეობაცაა ქვეყანაში.

***– სააკაშვილის დროს უფრო მეტი პატიმარი იყოო, ასეთია თქვენი ოპონენტების კომენტარი.***

– კი ბატონო, სააკაშვილის დროს უფრო მეტ ხალხს ასამართლებდნენ, მაგრამ ისინი უდანაშაულო ადამიანებს იჭერდნენ. დღეს უკვე რეალურ დანაშაულებებთან გვაქვს საქმე. მართალია, სააკაშვილს მეტი პატიმარი ჰყავდა, მაგრამ ისინი ყველას იჭერდნენ, ადვოკატებს ასამართლებდნენ, თანამდებობრივ უფლებამოსილებას გადაამეტეო. ადვოკატი და თანამდებობის პირი?! მაშინ მტკიცებულებების გარეშე, ჰაერზე იჭერდნენ ადამიანებს. დღეს უკვე დანაშაულის ჩადენა დაიწყეს იმ დამნაშავეებმა, რომლებმაც იცოდნენ, რომ თუ დანაშაულს ჩაიდენდნენ, დაიჭერდნენ. დღეს კი იციან, რომ რაც უნდა დანაშაული ჩაიდინონ, მათ ვერავინ დაიჭერს.

***– არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილმა დანაშაულებებმაც იმატა, ამაზე რას იტყვით?***

– სააკაშვილის დროს ერთადერთი, რაც კარგი მოხდა ამ ქვეყანაში, იყო ის, რომ მოისპო ქურდული მენტალიტეტი. დედა მასწავლებელი მყავს და ერთ დღესაც ტირილით მოვიდა სახლში, რა გატირებს-მეთქი და ჩემმა მოსწავლემ თქვა, რომ გავიზრდები, კანონიერი ქურდი უნდა გამოვიდეო, ეს იყო ჯაბას დრო. ბავშვები ამ იდეებს საკონტროლოებში წერდნენ. შემდეგ ეს კრიმინალური ფსიქოლოგია მოისპო და ეს მართლაც კარგი იყო.

***– დღეს რა ხდება ამ კუთხით, ისევ დაბრუნდა ეს განწყობები?***

– გაიარეთ სკოლებთან ახლოს სკვერებში, ქუჩებში, სააკაშვილის რეჟიმის დროს იქ ერთ ბავშვსაც ვერ ნახავდით. დღეს სავსეა ქუჩა. ბავშვები დგანან, საცოდავები, დაბოლილები! არის ჩემი დედას გინება, წელვა და საქმის გარჩევები. უკვე დაიწყო შეკრებები, გარჩევები. ქუჩურმა მენტალიტეტმა გაიღვიძა, გაიღვიძა კი არა, უკვე ჩქეფს მოზარდებში! სააკაშვილის დროს ამას ვერ ბედავდნენ. ბავშვები ყველა სკოლაში იყო და სწავლობდა. ახლა კი ვინც მაგრად სწავლობს, შიშით ველარ ისწავლის, რადგან მას ჩმორიკს უწოდებენ.

***– რამდენად სავალალო მდგომარეობაა სკოლებში?***

– ძალიან სავალალო მდგომარეობაა! ძლივს ქვეყანაში მოინახა ნორმალური ადამიანი, განათლების მინისტრი, რომელიც ამბობს, რომ რელიგიის სწავლება უნდა იყოს სკოლაში და ესეც არ უნდათ. ამას აუცილებლად უნდა დაემატოს ანტინარკოტიკული და ანტიალკოჰოლური სწავლება. ისე უნდა ისწავლონ, როგორც ფიზიკა და მათემატიკა! აიღონ ევროპული და ამერიკული გამოცდილება. ამერიკაში როცა დაიწყო ანტინარკოტიკული კურსის შესწავლა, 62%-მა თავი დაანება სიგარეტის მოწევას. საქართველოში კი ერთი ხელისუფლებაც არ მოვიდა, რომელიც იტყვის, მე არ მინდა, რომ ნარკოტიკები გავყიდო ღამის ბარებში!

***– საზოგადოების ნაწილი ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას ითხოვს.***

– მე მინახავს მეტადონის რიგში მდგომი ადამიანები, სანამ მეტადონს გადაყლაპავენ, საშინელებაა! აი, ეს ყველაფერი ისწავლება უცხოეთში! ბავშვებს თავიდანვე უდებენ ფსიქიკაში, რომ ეს არ შეიძლება. შენ რომ იმას გასინჯავ, მას აქვს ისეთი ინგრედიენტი, რომ მერე თავს ველარ დაანებებ. იცით, რა ხდება? სპეციალურად აყლაპებენ კარგი ოჯახის შვილებს, რომ მერე ამ მდიდარი ოჯახის შვილის ხარჯზე ამ ვიღაცამ ფული იშოვოს და თავადაც მუქთად იკაიფოს! საშინელი სიტუაციაა! იცით, რა მიკვირს? საზოგადოება რომ ხმას არ იღებს ამ ყველაფერზე. ათასობით ადამიანი ავადდება ამ ნარკოტიკით და ერთი სოციალური კლიპი არ გადის საზოგადოებრივ მაუწყებელზე!

***– თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ ეწინააღმდეგებით გამარტივებას და ლიბერალიზაციას?***

– როგორ შეიძლება საქართველოში ნარკოტიკის ლიბერალიზაცია! იცით, ეს რას ნიშნავს?! დაიღუპება ეს ქვეყანა საერთოდ! სასწავლო პროგრამაში მსგავსი არაფერი გიდევს ამის საწინააღმდეგო და შენ იძახი, რომ მოდი, გავაკეთოთ ლეგალიზება ნარკოტიკების. დავღუპავთ თაობებს.

რა თქმა უნდა, იმის წინააღმდეგი ვარ, რომ ეს ავადმყოფები ციხეში წავიდნენ, მომხმარებლებს ვგულისხმობ, მაგრამ ქუჩაში რომ გაუშვა და ტაში დაუკრა, არც ამის მომხრე ვარ! რეაბილიტაციის ცენტრები უნდა შეიქმნას. ოღონდ ამ ფეოდალმა ივანიშვილმა ხმები მიიღოს, ოღონდ საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰქონდეთ და ნებისმიერ უბედურებას დააკანონებს, თუ დაინახა, რომ ამის გამო ხალხი ხმას მისცემს! მე არ ვიცი, სამოქალაქო საზოგადოება ამას როგორ ითმენს, რომ ბავშვებს ნარკოტიკებით უავადებენ. პირდაპირ შტურმი უნდა დაიწყოს ამ ხელისუფლებაზე! რეკლამა კი არ უნდა აკეთო და იყვირო, უი რა კარგიაო, ბავშვი უნდა შეაშინო ნარკოტიკით!

გაეროს სპეციალური პროგრამებია, ამით აშინებენ ბავშვებს და გონებაში უბეჭდავენ, რომ ეს ცუდია! პოლიტიკოსები და პოლიცია ამ ბიზნესს მფარველობს. თუ ასე არ არის, მითხარით, დღისით მზისით ბარში ნარკოტიკი როგორ უნდა გაიყიდოს?! პირდაპირ მფარველობა მიდის ძალოვნების მხრიდან!

***– გამოსავალი სად არის?***

– ამ მთავრობის ხელში არ არსებობს გამოსავალი. ქვეყანას მართავს პირი, რომელსაც არანაირი პასუხისმგებლობა არ აკისრია არანაირ პროცესზე. მთელი ინსტიტუციები არის ჩამოშლილი. ადამიანს პირადი მცველებით ჰყავს მთავრობა დაკომპლექტებული. პირადი ბანკირი ეკონომიკის მინისტრად ჰყავს, პირადი ექიმი ჯანდაცვის მინისტრად, პირადი მცველი კი – უშიშროების მინისტრად. ეგეთი რამე რომელიმე ქვეყანაში ხდება?! აი იმიტომ ხდება ყველაფერი.

დღეს საქართველოში ოპოზიცია არ არსებობს. დღეს ოპოზიციის ძირითადი პლატფორმა არის – ბიძინა, მიყიდე! გამოსავალი არის ის, რომ უნდა შეიქმნას ძლიერი სამოქალაქო მუხტი. ხელისუფლებასაც უნდა ეშინოდეს ამ მუხტის და ოპოზიციასაც, რომ ხალხი მათ ერთიანად გადაუვლის. აი, ასეთი მუხტის აუცილებლობა დადგა. ეს ბოლო წვეთიც მალე დადგება!

---

# ახალი ანტირუსული სანქციები აშშ-ის კონგრესსა და პრეზიდენტს შორის უთანხმოებას იწვევს?

მარიამ მჭედლიშვილი

**აშშ-ის კონგრესი საიდუმლო ვითარებაში განიხილავს „კრემლის მოხსენებას“, რომელიც ქვეყნის ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა.**

მასში საუბარია რუსეთის 210 გავლენიან პირზე, რომელსაც ახალი ამერიკული სანქციები შეეხება. ისინი არიან რუსეთის მსხვილი ბიზნესმენები, მაღალჩინოსნები და სახელმწიფო კომპანიების ხელმძღვანელები.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ იანვრის ბოლოს წარმოსადგენ მოხსენებაში მოცემული შავი სია არ გულისხმობს მისი ფიგურანტების წინააღმდეგ ახალი სანქციების დაუყოვნებლივ შემოღებას.

აშშ-ის ფინანსთა უწყების განცხადებით, მოხსენება არ არის იმ პირების სია, რომელთა წინააღმდეგ შემოღებულია სანქციები.

სიაში მოხვდნენ რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები: პესკოვი, სურკოვი, გრომოვი და სხვები; ოლიგარქებიდან – რომან აბრამოვიჩი, ალიშერ უსმანოვი, სულეიმან ქერიმოვი, ასევე ევგენი კასპერსკი.

კონგრესში საკითხის განხილვის შემდეგ გადაწყვეტილება პრეზიდენტმა უნდა მიიღოს. ამერიკული მედიის ცნობით, თეთრი სახლის მეთაური სანქციების მინიმალურად ამოქმედების მომხრეა. კონგრესში მიაჩნიათ, რომ ტრამპი ეწინააღმდეგება ორი პარტიის პოზიციას. კანონმდებლების აზრით, რუსეთი მკაცრად უნდა დაისაჯოს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევისთვის.



რამდენიმე დღის წინ კრემლმა დიმიტრი პესკოვის პირით განაცხადა, რომ ახალი სანქციების ამოქმედებას აუცილებლად მოჰყვება რუსეთის პასუხი, საპასუხო ზომებს კი პირადად პუტინი შეიმუშავებს.

ამერიკელი ექსპერტები აცხადებენ, რომ პუტინის პასუხი ამ გადაწყვეტილების თანაზომადი ვერ იქნება. შესაძლოა, ეს თემა რუსეთის პრეზიდენტმა ამერიკელ კოლეგასთან დიალოგის გამართვის საბაბად გამოიყენოს.

პუტინის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ „კრემლის მოხსენება“ წარმოადგენს რუსეთის წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის მცდელობას, მაგრამ ეს ამაო განზრახვაა.

სახელმწიფო დეპარტამენტის განმარტებით, ახალი ანტირუსული სანქციები მიმართული იქნება უცხოური სტრუქტურების წინააღმდეგ, რომლებსაც მსხვილი გარიგებები აქვთ რუსეთის თავდაცვის სექტორთან და დაზვერვასთან. რუსეთი ველარ მიიღებს შემოსავალს სამხედრო ტექნიკის ვაჭრობით. ამით შემცირდება რუსეთის მავნებლური გავლენა და დესტაბილიზაციის მცდელობა.

ახალი სანქციები 12 ზომას მოიცავს. ესაა ქმედებები, საექსპორტო ლიცენზიით აკრძალვით დაწყებული, საბანკო გადარიცხვების დაბლოკვით დამთავრებული.

სანქციების პოლიტიკა რუსეთის წინააღმდეგ 2014 წლიდან ამოქმედდა. რუსეთს რამდენჯერმე დაუწესდა შეზღუდვები უკრაინაში თავისი აგრესიის გამო.

ივლისში კონგრესმა მოიწონა ახალი კანონი სანქციების შესახებ, რომელშიც რუსეთს სხვა ბრალდებებიც წაუყენეს, მათ შორის, ამერიკის არჩევნებში ჩარევა. ამ კანონს ტრამპმა ხელი აგვისტოში მოაწერა, რაც დამატებითი სანქციების საფუძველი გახდა.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელ ჰეზერ ნაუერტის თქმით, სანქციებმა რუსეთის წინააღმდეგ უკვე მოიტანა ის შედეგი, რომ უცხოელი პარტნიორები უარს ამბობენ თავდაცვის სფეროში ადრე დაგეგმილ რამდენიმე მილიარდდოლარიან შესყიდვაზე.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს დეპუტატ ფრანც კლინცევიჩის შეფასებით, სასანქციო პოლიტიკა დარტყმას მიაყენებს ევროკავშირს.

– არ შეიძლება არ გვესმოდეს, რომ აშშ-ის ანტირუსული სანქციები დარტყმაა ევროკავშირზე, რომელშიც ამერიკელები თავიანთ კონკურენტს ხედავენ და რუსეთის პარტნიორებზე მთელ მსოფლიოში.

თუ ამგვარმა პოლიტიკამ ათწლეულების განმავლობაში ვერ გატეხა პატარა კუბა, ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში მას საერთოდ არ გააჩნია არანაირი პერსპექტივა, – ირწმუნება რუსი სენატორი.

ამერიკელი ექსპერტების აზრით, „კრემლის მოხსენება“ უფრო სამომავლო სანქციებს გულისხმობს. მომავალში სიაში მოყვანილ რუსეთის ოლიგარქებსა და კომპანიებს ძალიან გაურთულდებათ სარგებლობა დასავლეთის ფინანსური მომსახურებით.

# რას ელოდებიან ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები ეროვნული ბანკისგან



უახლოეს მომავალში „ეროვნული ბანკის შესახებ" კანონში შესული ცვლილებებით, ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს დამატებითი მოთხოვნები დაუწესდებათ. აღნიშნულს „კომერსანტთან" ვალუტის გადამცვლელი ჯიხურების ხელმძღვანელები აფასებენ.

როგორც ცნობილია, ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტმა მურთაზ კიკორიამ განაცხადა, რომ სამომავლოდ ვალუტის გადამცვლელ პუნქტებზე მაღალი მოთხოვნების დაწესება იგეგმება.

— დავაწესებთ მოთხოვნებს ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მფლობელებისთვის, მათ საქმიანობაზე, გამოცდილებაზე. ეს არ იქნება ისეთი სტანდარტები, როგორიც გვაქვს ბანკების ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, მაგრამ ფინანსური საქმიანობის წარმმართველი პირი ნასამართლევი რომ არ უნდა იყოს, ალბათ, ყველა დამეთანხმება. კანონი მომხმარებელს უფლებას აძლევდა, დროის რაღაც მონაკვეთში სავალუტო ჯიხურისთვის თანხა დაებრუნებინა. დაახლოებით ამგვარი ნორმის კვლავ შემოტანაზე ვფიქრობთ, — აღნიშნა კიკორიამ.

ამასთან, კიკორია აცხადებს, რომ სავალუტო ჯიხურებში ფულის გადახურდავებისას ტურისტების მოტყუების ფაქტები საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას.

— სავალუტო ჯიხურებზე ზედამხედველობა შეზღუდული იყო და მხოლოდ ფულის გათეთრების ნაწილზე ვრცელდებოდა. ამ ცვლილებებით კი ეროვნულ ბანკს აქვს უფლება, სავალუტო ჯიხურები ფინანსურ შუამავლად განიხილოს და მაღალი მოთხოვნები დაუწესოს.

შარშან კვირა არ გასულა, რომ სავალუტო ჯიხურებში ფულის გადახურდავებისას ტურისტები არ მოეტყუებინათ. ახალი რეგულაცია კი საშუალებას გვაძლევს, მომხმარებლის ინტერესების დასაცავად მომსახურების წესები დავადგინოთ, — განაცხადა კიკორიამ.

„კომერსანტი" აღნიშნულ თემაზე სავალუტო ჯიხურების დამფუძნებლებს დაუკავშირდა. როგორც აღმოჩნდა, ტურისტების მოტყუებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები ნაწილობრივ კვლავ აქტუალურია.

ჩვენთან საუბრისას ვალუტის გადამცვლელი ჯიხურების მფლობელების უმეტესობა ვალუტის გადამცვლელ პუნქტებზე დამატებითი მოთხოვნების დაწესებას დადებითად აფასებს. მათივე თქმით, ეს პროცესი აუცილებლად დასაწყებია, რადგან სხვისი არაკეთილსინდისიერებით ბაზარზე არსებულ სხვა კომპანიებს იმიჯი ელახებათ.

„ზარაფი +"-ის დამფუძნებელი ტარიელ კუპატაძე „კომერსანტთან" საუბრისას აცხადებს, რომ მსგავსი სახის პრობლემა ქვეყანაში კვლავ არსებობს და ის სხვა სავალუტო ჯიხურებს პრობლემას უქმნის.

— ისეთ ადგილებზე სადაც ტურისტები ინტენსიურად მოძრაობენ ჯიხურებში ფულის გადახურდავებისას მათ ატყუებენ და არაკეთილსინდისიერად ექცევიან. ეროვნული ბანკი ამ პრობლემას შედეგიანად ებრძვის, თუმცა ბოლომდე ვერ მოგვარდა. გარკვეულწილად ეს ჩვენზეც ცუდად ისახება, რადგან ამით სხვა გადამცვლელი ჯიხურების იმიჯიც ილახება, — აღნიშნა ტარიელ კუპატაძემ.

ტარიელ კუპატაძე:

— იმ შემთხვევაში, თუ უკვე არსებულზე მაღალი მოთხოვნები დაწესდება, ვეცდებით, შევასრულოთ. ყველა რეგულაცია რომელიც წესდება დროისა და მოთოვნის შესაბამისია. წინსვლა უნდა გაგრძელდეს და ჩვენც მას ფეხი უნდა ავუწყოთ, — განაცხადა კუპატაძემ.

„მაიფინის" დირექტორი დავით ფანგანი მიიჩნევს, რომ „ეროვნული ბანკის" მიერ ჩატარებულმა სხვადასხვა სახის მონიტორინგმა ბაზარზე ტურისტების მოტყუების ფაქტები შედარებით შეამცირა.

— ადრეულ პერიოდში მსგავსი სახის თაღლითობებს ხშირად ვხვდებოდით, ხოლო ბოლო პერიოდში ამგვარი ფაქტები არ გვსმენია. ვთვლი, რომ ეს საკითხი თავისთავად რეგულირდება. „ეროვნული ბანკის" მონიტორინგის სამსახური ამ საკითხზე მუშაობს. ამ მიმართულებით მონიტორინგი კვლავ საჭიროა, რადგან მსგავსი ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები იმიჯს გვილახავენ, — განმარტა ფანგანმა.

— ჩვენ მიმართ უკვე არსებული კანონები საკმაოდ მკაცრია, თუმცა ამის მონიტორინგი მაინც აუცილებელია. უნდა მოხდეს კამერების ქვეშ თანხის დათვლა, სავალუტო ჯიხურებმა კეთილსინდისიერად უნდა იმუშაონ. ვემხრობი იმ მოსაზრებას, რომ იმაზე მაღალი მოთხოვნები დაწესდეს ვიდრე ეს დღესაა, — განუმარტა „კომერსანტს" „მაიფინის" დამფუძნებელმა.

„ფინის" დამფუძნებელი კახა კოტორაშვილი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე სავალუტო ჯიხურებს ძალიან ბევრ ბიუროკრატიული პროცედურა ეხებათ და უფრო მაღალი მოთხოვნების დაწესება ზედმეტია.

— კვლავ საუბრობენ იმაზე, რომ ტურისტებს ატყუებენ. თუმცა, ეს წარსულში უფრო გახშირებული იყო. პირადად მე ბოლო პერიოდში მსგავსი ფაქტი არ მსმენია. რაც შეეხება მოთხოვნების გამკაცრებას, ამ ეტაპზე ჩვენ ძალიან ბევრ ბიუროკრატიულ პროცედურას ვატარებთ და კიდევ უფრო მაღალი მოთხოვნების დაწესება ზედმეტია. ვთვლი, რომ, პირიქით, მომსახურება უნდა გამარტივდეს, — აღნიშნა „ფინის" დამფუძნებელმა.

# ლევან გოგიჩაიშვილი: „სატენდერო სისტემა ფუნდამენტურად უნდა გადაიხედოს"



საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი ფრაქცია „ძლიერი საქართველოსთვის" აპირებს, დააყენოს საკითხი, რომ ქვეყანაში სატენდერო სისტემა ფუნდამენტურად გადაიხედოს. როგორც პირველ არხს ფრაქციის წევრმა ლევან გოგიჩაიშვილმა განუცხადა, მეტროსადგურ „ვარკეთილში" მომხდარი ინციდენტი იმ სისტემის ბრალია, რომელიც ქვეყანაში ტენდერის ჩატარების წესებსა და პირობებს ეხება. მისი თქმით, დღეს მოქმედი სისტემა იმის საშუალებას არ იძლევა, რომ ქვეყანა ასეთი პრობლემებისგან დაზღვეული იყოს.

— დღეს გადაწყვეტილების მიღება ფასით ხდება. შესაბამისად, დაბალი ფასი დაბალ ხარისხს ნიშნავს. მსგავსი მიდგომა ფუნდამენტურად შესაცვლელია, რადგან ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად მთავარი პრინციპი დაბალი ფასი არ უნდა იყოს. დაბალი ფასის შედეგად დაბალი ხარისხის სამუშაოებს ვიღებთ, რომელიც პერსპექტივაში სახელმწიფოს უფრო მეტი დაუჯდება, ვიდრე ცოტა ძვირად გაკეთებული კარგი სამუშაო. სატენდერო სისტემა ფუნდამენტურად უნდა გადაიხედოს და ამ საკითხს აქტიურად დავაყენებთ. გარკვეულწილად ისეთი რეგულაციები უნდა ამოქმედდეს, როგორიც პასუხისმგებლობას გააჩენს როგორც ობიექტის ჩაბარების წესზე, ასევე მისი ექსპლუატაციის, მონიტორინგის, სანქციებისა და დასჯის რეგულაციებზე. რაც იყო საქართველოში, არ იმუშავა და ახალი ფილოსოფიაა შესაქმნელი.

სულზე რომ არ მიგვესწრო, იგივე დაემართებოდა იუსტიციის სახლს, ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობასა და ყველა იმ შენობას, რომელიც ამ პრინციპით არის გაკეთებული. რატომ ხდება ისე, რომ ერთ წელში გაკეთებული ქუჩის რეაბილიტაცია ან სახლის შეკეთება ექვს თვეში ისევ თავიდან ხდება საჭირო? — ტენდერში ისეთი კომპანიები იმარჯვებენ, რომლებიც ფასებს შეგნებულად აგდებენ, მერე ფასს ვერ ერევიან, ახალ ტენდერს იგებენ, იქედან თანხა აქეთ გადმოაქვთ, უაზრო სქემებს ქმნიან და ეს პრობლემას ქმნის, — აღნიშნავს დეპუტატი.

გოგიჩაიშვილი ფიქრობს, რომ პარლამენტში სამუშაო ჯგუფი უნდა გაკეთდეს, რომელიც მთავრობასთან ერთად ახალ ფილოსოფიას შეიმუშავებს, რომელიც ტენდერების საკითხს ახლებურად ჩამოაყალიბებს.

— წინააღმდეგ შემთხვევაში, დღეს ვარკეთილი იყო, ხვალ რაგბის მოედანი იქნება, ზეგ პეკინის განახლებული ქუჩა, მაზეგ — დოლიძე. ყველაფერი უხარისხო იქნება, ვიდრე შემსრულებლის დაქირავებას დაბალი ფასი განაპირობებს, — განაცხადა გოგიჩაიშვილმა.

# „2017 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 4.8 პროცენტი შეადგინა"



„საქსტატის" წინასწარი შეფასებით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2017 წლის დეკემბერში მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 4.7%-ი შეადგინა. 2017 წლის მეოთხე კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა ასევე 4.7% იყო. რაც შეეხება 2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურ ზრდას, ის 4.8%-იან ნიშნულზე დაფიქსირდა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის ეკატერინე მიქაბაძის განცხადებით, 2017 წელს საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოთა ბრუნვა (რომლებზე დაკვირვებაც ხდება ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად) გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით დეკემბერში 12.4%-ით არის გაზრდილი. ხოლო ახლად დარეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 3.611 ერთეულს გაუტოლდა, რაც 2.3%-ით მეტია 2016 წლის დეკემბრის თვის მონაცემთან შედარებით.

2017 წლის დეკემბერში მშპ-ს მნიშვნელოვანი რეალური ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სფეროებში:

დამამუშავებელი მრეწველობა — ზრდა 12.3%;

უძრავი ქონება — ზრდა 11.6%;

სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა — ზრდა 32.5%;

საფინანსო საქმიანობა — ზრდა 20.6%.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის ეკატერინე მიქაბაძის განცხადებით, 2017 წლის დეკემბერში დაფიქსირებული ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად განაპირობა საგარეო ვაჭრობის გაუმჯობესებულმა მონაცემებმა. 2017 წლის დეკემბერში საქონლის ექსპორტის 50%-იანი, ხოლო იმპორტის 13.5%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

ეკატერინე მიქაბაძის განცხადებით, ეკონომიკურ ზრდაზე პოზიტიური გავლენა მოახდინა მომსახურების ექსპორტის ზრდამ. გაიზარდა შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან. დეკემბერში ტურიზმიდან შემოსავლები წლიურად 22%-ით (33.3 მლნ. აშშ დოლარით) გაიზარდა და 186 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მისი თქმით, გაუმჯობესდა ზრდის ხელშემწყობი სხვა ფაქტორებიც. 17.7%-ით გაიზარდა წმინდა ფულადი გზავნილების მაჩვენებელი და მისმა მოცულობამ 118.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ფულადი გზავნილები შიდა მოთხოვნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, შესაბამისად მისი ზრდა დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.

— მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმები დადებითად აისახება საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე, რომელმაც ასევე პოზიტიური გავლენა მოახდინა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე. ამასთან, საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის, ვაჭრობის დივერსიფიკაციისა და ინოვაციების წახალისების მიმართულებით. ამავე დროს, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და სუვერენული სარეიტინგო კომპანიების პოზიტიური შეფასებები საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და მიმდინარე რეფორმებზე კიდევ უფრო ზრდის ინვესტორთა ნდობას, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ეკატერინე მიქაბაძემ.

# მამუკა ბახტაძე: „ღია ბიუჯეტის ინდექსში საქართველოს დაწინაურება ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან დიდი წარმატებაა"



— ღია ბიუჯეტის ინდექსში საქართველოს დაწინაურება ძალიან დიდი წარმატებაა ჩვენი ქვეყნისთვის, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის მიერ გამოქვეყნებული „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2017"-ის შეფასებისას, რომლის თანახმადაც, საქართველომ 82 ქულით მე-5 ადგილი დაიჭირა მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის და მოექცა სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში.

— ღია ბიუჯეტის ინდექსის მიხედვით, საქართველო მოხვდა ლიდერ ქვეყანათა სიაში, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ გამჭვირვალობის კრიტერიუმებს. ეს არის ძალიან დიდი წარმატება. ჩვენი თითოეული რეფორმა და ინიციატივა მიმართულია იმისკენ, რომ დავძლიოთ ჩვენს ქვეყანაში არსებული მთავარი გამოწვევები, როგორიც არის უმუშევრობა და სიღარიბე. აღნიშნულ ინდექსში დაწინაურების შედეგად, ჩვენ შევძლებთ, რომ მეტი ინვესტიცია მოვიზიდოთ ჩვენს ეკონომიკაში, დავაჩქაროთ საქართველოს ეკონომიკური ზრდა და შევქმნათ მეტი სამუშაო ადგილი. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გუნდს, ყველა საჯარო უწყებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ჩართული იყვნენ ამ პროცესში და მივულოცო ეს ძალიან დიდი წარმატება, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.

როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, აღნიშნული მაჩვენებლით, საქართველოში მიმდინარე საჯარო ფინანსების მართვის რეფორმამ საერთაშორისო აღიარება მიიღო და კიდევ ერთხელ დადასტურდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში გატარებული ღონისძიებების შედეგები.

# რას წარმოადგენს კომპანია „ყვარელრემმშენი", რომელმაც მეტროსადგურ „ვარკეთილის" რეაბილიტაცია განახორციელა?

როგორც „კომერსანტისთვის" ცნობილი გახდა, მეტროსადგურ „ვარკეთილის" რეაბილიტაციაზე მომუშავე კომპანია „ყვარელრემმშენი" ამ დროისთვის აღარ ფუნქციონირებს. „სამეწარმეო რეესტრისა" და „ტენდერების მონიტორინგის" ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე კომპანიის დამფუძნებლის გიორგი ჯოხარიძის საკონტაქტო ნომერი არასწორადაა მითითებული.

სამშენებლო კომპანია შპს „ყვარელრემმშენი", „სამეწარმეო რეესტრის" მონაცემების მიხედვით, 1999 წლის პირველ ოქტომბერს ყვარელში, მათიკაშვილის ქუჩა №20-შია დარეგისტრირებული. „სამეწარმეო რეესტრში" კომპანიის მფლობელად და 100%-იანი წილის მეპატრონედ გიორგი ჯოხარიძეა მითითებული. როგორც საინფორმაციო ცენტრ 118-ში აცხადებენ, დასახელებული კომპანია მათთან არ ფიქსირდება, იძებნება მხოლოდ კომპანია „ყვარელმშენი", რომლის დამფუძნებელიც ასევე გიორგი ჯოხარიძეა.





კომპანია „ყვარელრემმშენი", კახეთში სკოლებისა და ბაღების შენობების რეაბილიტაციაზეც მუშაობდა. პირველი არხის მიერ მოძიებული ინფორმაციით, ჯამში, კომპანიას 28 ტენდერში აქვს მონაწილეობა მიღებული, საიდანაც თითქმის ნახევრის შემთხვევაში გაიმარჯვა და სხვადასხვა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა.

შპს „ყვარელრემმშენის" მიერ გარემონტდა სოფელ გავაზისა და ჭიკაანის საბავშვო ბაღები, ასევე სოფელ ჩანტლისყურის საჯარო სკოლა. ამჟამად კი „ყვარელრემმშენი" მონაწილეობს თბილისის №160 სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებში. გარდა სკოლებისა და ბაღებისა, „ყვარელრემმშენმა" გაიმარჯვა იუსტიციის სასწავლო ცენტრის აუზისა და ღობის რეაბილიტაციაზე გამოცხადებულ ტენდერებში, ასევე ყვარლის კულტურის სახლის და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს რეაბილიტაციის შესახებ გამოცხადებულ ტენდერში.

მეტროსადგურ „ვარკეთილში", სადაც გუშინ ჭერი ჩამოინგრა და 11 ადამიანი დაშავდა, სარეაბილიტაციო სამუშაოები 5 თვის წინ დასრულდა და ის შპს „ყვარელრემმშენმა" 347.852 ლარად განახორციელა. სარეაბილიტაციო სამუშაოები თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ 2016 წელს დაიწყო. სატრანსპორტო კომპანიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში სწორედ შპს „ყვარელრემმშენმა" გაიმარჯვა. სატენდერო პირობების თანახმად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 396.600 ლარი, კომპანიის მიერ შეთავაზებული თანხა კი 347. 852 ლარი იყო.

სამუშაოების ფარგლებში მეტრო „ვარკეთილში" განახლდა სადგურის ქვედა და ზედა ვესტიბიულების ინტერიერი, გარემონტდა დახრილი გვირაბი, გაიწმინდა იატაკის გრანიტი და მარმარილო. სადგურებში დამონტაჟდა ახალი საოპერატორო ჯიხურები და ტურნიკეტები, მოეწყო მეტროს ნავიგაციის თანამედროვე სისტემა. აღსანიშნავია, რომ თბილისის მერია მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის" შემოწმებასაც იწყებს, რომელშიც სარეაბილიტაციო სამუშაოები კომპანია შპს „დამბამ" ჩაატარა.

## შპს „ლანცეტის“ დირექტორის საქმეზე სასამართლო სხდომა 6 თებერვლისთვის გადაიდო




შპს „ლანცეტის“ დირექტორ ფარმან ჯეირანლის საქმეზე სასამართლო სხდომა 6 თებერვლისთვის გადაიდო. მოსამართლე მაია ქოქიაშვილმა სამუშაო დღის დასრულების გამო გუშინდელი სასამართლო პროცესი შეწყვიტა და მხარეთა თანხმობის შედეგად მომდევნო სხდომის თარიღი ჩანიშნა.

მომდევნო სხდომა კვლავ ფარმან ჯეირანლის ადვოკატების დასკვნითი სიტყვით გაგრძელდება, რის შემდეგაც მხარეები რეპლიკებით ისარგებლებენ და საბოლოო სიტყვას იტყვის ბრალდებული.

მთავარი პროკურატურა შპს „ლანცეტის“ დირექტორს პაციენტებისგან დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლებას ედავება.

## ავარია ოზურგეთი–ჩოხატაურის გზაზე — გარდაცვლილია ერთი ახალგაზრდა

ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა ოზურგეთი-ჩოხატაურის გზაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას.

ჩოხატაურიდან ოზურგეთის მიმართულებით მოძრავი მსუბუქი ავტომანქანა, რომელსაც ახალგაზრდა მამაკაცი მართავდა, სავალი გზიდადან გადავარდა და ხეს შეეჯახა.

მანქანის მძღოლი ადგილზევე გარდაიცვალა.




– საშინელი ავარია მოხდა, ახალგაზრდა ბიჭი დაიღუპა. მანქანას წინ ცხვირი საერთოდ არ ჰქონდა. როგორც ჩანს მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, ჯერ ხეს შეასკდა და მერე მანქანიდან ტრასაზე გამოვარდა. ძრავი და გადაცემის კოლოფი 20 მეტროში ეგდო. საშინლად იყო დამტვრეული ის ბიჭი, – გვიყვება ერთ-ერთი თვითმხილველი.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში გვეუბნებიან, მომხდარზე გამოძიება სსკ 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების, ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## ბექა რუსიას დედა: „დარწმუნებული ვარ, დანაშაული დაკავებულს არ ჩაუდენია. რეალურ დამნაშავეს ხელს აფარებენ“



ზუგდიდის საქალაქო სასამართლოში მუჟავას საგუშაგოზე გარდაცვლილი ბექა რუსიას საქმეზე არსებითი განხილვა ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა. შელაპარაკება გაგრძელდა სასამართლოს ეზოშიც.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, პროცესიდან გამოსული რუსიას ახლობლები დაკავებულ დავით ჯალაღონიას ოჯახის წევრებთან მივიდნენ და დაინტერესდნენ, თუ რატომ არ ითხოვდნენ ისინი ალექსანდრე კვიჟინაძის დაკავებას, რომლის იარაღიდანაც მოხდა გასროლა, რაზეც ბრალდებულის დედამ განაცხადა, მან დღეს გაიგო იმის შესახებ, რომ მისი შვილის ხელზე დენთის კვალი არ არის აღმოჩენილი.

ჯალაღანიას მშობლების თქმით, გამოძიების ობიექტურად ჩატარებასთან დაკავშირებით მათ კითხვები აქვთ: „გვაქვს კითხვები, რომლებსაც ჩვენს ადვოკატთან განვიხილავთ“, – ამბობს დაკავებულის დედა.

ამასთან, რუსიების ადვოკატის თქმით, მისი ინფორმაციით, ბრალდებული ამბობს, რომ იარაღი, რომელიც კვიჟინაძეს ეკუთვნოდა, მას არ გადაუტენია.

ამასთან, ოჯახი აცხადებს, რომ შესაძლოა დანაშაული დავით ჯალაღანიას არ ჩაუდენია და რეალურ დამნაშავეს ხელს აფარებს.

– დარწმუნებული ვარ, ამ ბავშვს ეს არ ჩაუდენია. ის სტრესის ქვეშ იყო, – თქვა იზა რუსიამ სასამართლოს დასრულების შემდეგ.

რაც შეეხება უშუალოდ სასამართლო პროცესს, ბრალდებულმა დღეს განაცხადა რომ წარდგენილ ბრალში თავს დამნაშავედ სცნობს.

საქმის არსებით განხილვა პროკურორის თხოვნის საფუძველზე 26 თებერვლამდე გადაიდო.

## განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა



სასამართლომ განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

– თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის ჩადენაში ბრალდებული ი.ბ. დამნაშავედ სცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 15 მაისს, დაახლოებით 03:00 საათზე, ქ.თბილისში, ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევ ი.ბ.-ს და ა.ბ.-ს შორის, ამ უკანასკნელის საცხოვრებელ ჯიხურში, სიტყვიერი შელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ი.ბ.-მ განზრახ მოკვლის მიზნით ა.ბ.-ს ხელებით და ფეხებით ძლიერად სცემა, შემდეგ კი იგი გაგუდა. დანაშაულის ჩადენის შემდეგ ი.ბ.-მ კვალის დამალვის მიზნით გვამს ტანსაცმელი დააყარა, გარედან ჩაკეტა ჯიხურის კარები და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ი.ბ. 2017 წლის 15 მაისს თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ი.ბ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 14 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ადვოკატი: „ბრალდება ცდილობს, ირაკლი მამალაძე ირაკლი ფირცხალავას პროცესზე დაკითხოს“



– ბრალდება ცდილობს, ე.წ. ციანიდის საქმის მთავარი მოწმე ირაკლი მამალაძე ირაკლი ფირცხალავას სასამართლო პროცესზე დაკითხოს, როდესაც ნაკლები იქნება საზოგადოების ყურადღება.

ამის შესახებ ირაკლი ფირცხალავას ადვოკატმა დავით ცინცქილაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

ადვოკატი სასამართლოსა და პროკურატურას ირაკლი ფირცხალავას საქმის გაჭიანურებაში ადანაშაულებს.

– სისხლის სამართლის პროცესი უკვე რამდენიმე თვეა ჭიანურდება. ეს ემსახურება ერთადერთ მიზანს, რომ საქმეზე არ დადგეს გამამართლებელი განაჩენი. დღეს ჩვენ უნდა წარგვედგინა მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოების შეთანხმებულ მოქმედებას და საქმეზე პირდაპირი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების გადამალვას, – განაცხადა დავით ცინცქილაძემ.

გამოძიება ირაკლი ფირცხალავას სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლის დარღვევაში ედავება, რაც გამოძიებისათვის ჩვენების მიცემაზე უარის თქმას გულისხმობს.

## ადვოკატ ირაკლი ზაქარეიშვილს ფიზიკურად გაუსწორდნენ



ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილი ამბობს, რომ მას შელაპარაკება უცნობ პირთან მოუვიდა, რის შემდეგაც მამაკაცი ავტომანქანიდან გადმოვიდა და ფიზიკურად გაუსწორდა.

დაზარალებული მომხდარს მის პროფესიულ საქმიანობას უკავშირებს და საქმის გადაკვალიფიცირებას ითხოვს.

– გადმოხტა მანქანიდან და მომაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მემუქრებოდა ფიზიკური ლიკვიდაციით, ფიზიკური ანგარიშსწორებით. დიდი იმედი მაქვს, რომ გადაკვალიფიცირდება ეს 365-ე მუხლის მესამე ნაწილზე, – აცხადებს ირაკლი ზაქარეიშვილი.

შს სამინისტრომ გამოძიება ცემის მუხლით დაიწყო.

## შინაგან საქმეთა სამინისტრო 2017 წლის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო 2017 წლის რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა ბოლო ორი წლის განმავლობაში პირველია.

სტატისტიკის მიხედვით, 2017 წელს სულ რეგისტრირებულია 37 944 დანაშაული, რომელთა 53.2% გახსნილია. 2016 წელთან შედარებით, რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებელი გაზრდილია 5.4%-ით. 2016 წლის გახსნის მაჩვენებელი 57.4%-ია.

– ქვეყანაში 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 64.5% წარმოადგენს ჯანმრთელობის წინააღმდეგ, ასევე, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ და ნარკოტიკულ დანაშაულებს.

გასულ წელთან შედარებით, რეგისტრირებული დანაშაულის ზრდის ტენდენცია, ძირითადად, არის შემდეგ დანაშაულებზე:

დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (საქართველოს სსკ-ს 108-116-ე მუხლები) – 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 2.7% (ამ სახის რეგისტრირებული დანაშაულის ზრდა 2016 წელთან შედარებით – 11.9%-ით);

დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (საქართველოს სსკ-ს 117-126 პრიმა მუხლები) – სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 14.1% (ზრდა 2016 წელთან შედარებით – 14.8%-ით);

დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (საქართველოს სსკ-ს 142-170-ე მუხლები) – სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 2.2% (ზრდა 2016 წელთან შედარებით – 23.2%-ით);

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (საქართველოს სსკ-ს 177-189-ე მუხლები) – სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 37.9% (ზრდა 2016 წელთან შედარებით – 8.1%-ით);

დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ (საქართველოს სსკ-ს 287-306-ე მუხლები) – სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 2.3% (ზრდა 2016 წელთან შედარებით – 127.8%-ით);

დანაშაული მმართველობის წესის წინა-




აღმდეგ (საქართველოს სსკ-ს 343-363-ე მუხლები) – სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 6.4% (ზრდა 2016 წელთან შედარებით – 17.5%-ით);

დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (საქართველოს სსკ-ს 377-381 პრიმა-2 მუხლები) – სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 2.5% (ზრდა 2016 წელთან შედარებით – 20.5%-ით).

რაც შეეხება რეგისტრირებული დანაშაულის კლების ტენდენციას, ის, ძირითადად, არის შემდეგ დანაშაულებზე:

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (საქართველოს სსკ-ს 222-239-ე მუხლები) – სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 4.1% (კლება 2016 წელთან შედარებით – 19.5%-ით);

ნარკოტიკული დანაშაული (საქართველოს სსკ-ს 260-274-ე მუხლები) – სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 12.5% (კლება 2016 წელთან შედარებით – 8.3%-ით);

სატრანსპორტო დანაშაული (საქართველოს სსკ-ს 275-283-ე მუხლები) – სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 6.9% (კლება 2016 წელთან შედარებით – 16.4%-ით).

რაც შეეხება ტენდენციებს ცალკეული მუხლების მიხედვით:

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ძირითადი წილი არის საქართველოს სსკ-ს 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტების უმრავლესობა არ წარმოადგენს თვითმკვლელობამდე მიყვანის კლასიკურ შემთხვევას. სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით გამოძიება იწყება მაშინაც, როდესაც არ არის ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენელი ყველა ნიშანი (მსხვერპლისადმი მუქარა, სასტიკი მოპყრობა ანდა მისი პატივის ან ღირსების სისტემატური დამცირება), მაგრამ სახეზეა გარდაცვლილი ძალადობის ნიშნების გარეშე. ამგვარ საქმეებზე, ხშირ შემთხვევაში, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიღების შემდეგ, დგინდება, რომ გვაქვს არა დანაშაული, არამედ ბუნებრივი სიკვდილი ან სუიციდი.

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული რეგისტრირებული დანაშაულის დიდი ნაწილი არის 126-პრიმა მუხლით გათვალისწინებული ქმედება (ოჯახში ძალადობა). ამ მუხლით რეგისტრირებული დანაშაულის ზრდა გამოწვეულია, ერთი მხრივ, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მასობრივი კამპანიით, რამაც გაზარდა სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვიანობის მაჩვენებელი, მეორე მხრივ, იმის გამო, რომ ადრე არსებული პრაქტიკისგან განსხვავებით, ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების პარალელურად, უმეტეს შემთხვევაში, იწყება გამოძიება.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნაწილი არის საქართველოს სსკ-ს 151-ე მუხლით (მუქარა), კერძოდ, 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გაზრდილია 61.7%-ით. მუქარის ფაქტების მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახური კონფლიქტის საფუძველზეა განხორციელებული. გაზრდილია როგორც დაზარალებულთა, ასევე, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მქონე პირთა (ახლობლები, ნათესავები, მეზობლები) მხრიდან სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვიანობის მაჩვენებელი. ამასთან, სამართალდამცავი სტრუქტურების შესაბამისი დანაყოფების მხრიდან, ოჯახური კონფლიქტის საფუძველზე მუქარის თითოეულ ფაქტზე მოსალოდნელი მძიმე შედეგების თავიდან აცილების მიზნით, დაუყოვნებლივ იწყება გამოძიება მაშინაც კი, როდესაც არ არის დანაშაულის შემადგენელი ყველა ნიშანი.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მხრივ მომატებულია უმეტესად საქართველოს სსკ-ს 177-ე (ქურდობა), 180-ე (თაღლითობა) და 181-ე (გამოძალვა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული. ამასთან, სსკ-ს 177-ე მუხლით (ქურდობა) გათვალისწინებული დანაშაულის მატების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით არსებული დიდი სავაჭრო ობიექტებიდან (სუპერმარკეტები, ე.წ. მოლები და ა.შ.) წვრილმანი საყოფაცხოვრებო პროდუქტების ფარულად დაუფლების ფაქტების ზრდა.

რაც შეეხება საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, კლება ფიქსირდება სისხლის სამართლის კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული ყველა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, გარდა 238-პრიმა მუხლისა (ცივი იარაღის ტარება).

კლების ტენდენციაა ნარკოტიკულ დანაშაულში (საქართველოს სსკ-ს 260-274-ე მუხლები). ამასთან, კლება ფიქსირდება ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებულ თითქმის ყველა მუხლზე, მათ შორის, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე (273-ე, 273-პრიმა მუხლები).

გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა მატება, ძირითადად, არის საქართველოს სსკ-ს 303-ე (ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხა), 299-ე (წიაღით უკანონოდ სარგებლობა) და მე-300 (უკანონო თევზჭერა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე.

სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მხრივ მატება განპირობებულია სსკ-ს 381-ე მუხლით (განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, ან/და მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა) გათვალისწინებული დანაშაულის ზრდით. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ფაქტების უმრავლესობა წარმოადგენს ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების მიერ სასამართლოს იმ გადაწყვეტილების შეუსრულებლობას, რომლითაც მათ მართვის უფლება ჩამოერთვათ, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შეგახსენებთ, რომ დანაშაულის სტატისტიკა ბოლო ორი წელია არ გამოქვეყნებულა. შს მინისტრად დანიშვნის შემდეგ გიორგი გახარიამ პირობა დადო, რომ უწყება სტატისტიკის გამოქვეყნებას განაახლებდა.

2018, 31 იანვარი, №25

# ნავალნის ახალმა ტაქტიკამ გაამართლა?




რუსეთში დასრულდა „ამომრჩეველთა გაფიცვა,“ რომლის ორგანიზატორიც ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ნავალნი იყო. ამჯერად მან ახალი ტაქტიკა გამოიყენა. ნავალნი ცნობილია, როგორც ხელისუფლებაში არსებული კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი. ახლა მან რუსეთის მოქალაქეებს არჩევნების ბოიკოტისკენ მოუწოდა. ზოგიერთი დასავლელი ექსპერტი, უკრაინის მსგავსად, რუსეთშიც მაიდანის ორგანიზებაზე ალაპარაკდა. უკრაინელი პოლიტოლოგი ტარანი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ეს შეუძლებელია.

– რუსულ და უკრაინულ მენტალიტეტს შორის უზარმაზარი განსხვავებაა, – ამბობს ექსპერტი.

ტარანი აღნიშნავს, რომ რუსეთში მაიდანის მოწყობა ძალზე რთულია. დღეს რუსეთში, უკრაინაში თუ სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში ერთი სქემა მოქმედებს: ხელისუფლებაში არიან ნეოკომუნისტები, ყოფილი კომკავშირლები, პარტიული ფუნქციონერები ან სუკის მაღალჩინოსნები. მათ გარშემო თავიანთი ნათესავები, მეგობრები, ახლობლები შემოიკრიბეს. ისინი აკონტროლებენ ყველაფერს, თავად მეფურ ფუფუნებაში ცხოვრობენ, სხვები – სილატაკეში. საშუალო ფენა ან არ არსებობს, ან ძალიან სუსტია.

– ასეთია თანამედროვე პოსტსაბჭოთა კლანური მმართველობის შედეგი, – ამბობს ტარანი.

რუსეთში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა ფსიქოლოგია: რაკი ხელისუფლება ბრძანებს, მაშასადამე, ასეა საჭირო. რუსეთს ან მეფეები მართავდნენ, ან ბოლშევიკი დიქტატორები. კაზაკური წარსულის უკრაინა კი სამხედრო დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნდა. კაზაკური იდეალები უდევს საფუძვლად უკრაინულ ეროვნულ მოძრაობასაც.

– ამიტომ რუსები ამჟამინდელ ვითარებას შეეგუვნენ, უკრაინელები ვერა! – აცხადებს ტარანი.

ნავალნის აქცია უდავო წარმატებად შეიძლება ჩავთვალოთ. არჩევნების ბოიკოტი ხომ პირდაპირი მოწოდებაა დაუმორჩილებლობისკენ. დარბევაც გარდაუვალი იყო. მიუხედავად ამისა, მოსკოვში 5.000 ადამიანი გამოვიდა, პეტერბურგში – 4.000. აქციებს ადგილი ჰქონდა ვორონეჟში, ტამბოვში, ჩებოქსარში, ომსკში, ვლადივოსტოკში და ა.შ. საპროტესტო გამოსვლები რუსეთის 100-მდე ქალაქში მოეწყო.

ნავალნიმ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ გააჩნია სტრუქტურები, რომელთაც პუტინის ავტორიტარული რეჟიმის პირობებშიც კი ხალხის ქუჩაში გამოყვანა შეუძლიათ. ამავე დროს, ქუჩაში გამოსულთა რაოდენობა ნამდვილად არ იყო საკმარისი საიმისოდ, რომ ქვეყანაში რაიმე შეიცვალოს.

– ნავალნის აქცია უფრო მომავალზეა გათვლილი! ესაა პირველი აგური იმ შენობის ასაგებად, რასაც დემოკრატიული რუსული სახელმწიფო ჰქვია. დღეს კი პუტინის რეჟიმი მყარია, – ასეთია ბი-ბი-სი-ს კომენტარი.

# ამერიკელი რესპუბლიკელები ტრამპს იცავენ

## გფბ-ს დირექტორის პირველი მოადგილე გადადგა



აშშ-ის კონგრესის დაზვერვის საკითხთა კომიტეტი მხარს უჭერს საიდუმლო ბარათის გამოქვეყნებას, სადაც გფბ-ს მიერ უფლებების გადაჭარბებაზეა საუბარი.

საქმე აშშ-ის არჩევნებში რუსეთის ჩარევას შეეხება.

კონგრესმენები თვლიან, რომ გამოძიება ტენდენციურად მიმდინარეობს. ეს, უწინარეს ყოვლისა, დონალდ ტრამპის პერსონისადმი დამოკიდებულებაში გამოიხატება.

სენატორი, დემოკრატი შიფერი მიიჩნევს, რომ საიდუმლო ბარათის გამოქვეყნება სპეცპროკურორ მიულერის მთელ გამოძიებას თავდაყირა დააყენებს. საზოგადოებაც აშშ-ის არჩევნებში რუსების ჩარევის საკითხზე სიმართლეს ვერასოდეს ველარ შეიტყობს.

ამასობაში გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის პირველი მოადგილე ენდრიუ მაკეიბი გადადგა.

ამან ბევრი გააოცა. ექსპერტები მაკეიბის გადადგომას მარტში ვარაუდობდნენ. მაკეიბს ტრამპთან კარგა ხნის უთანხმოება ჰქონდა. მიზეზი იყო მისი სპეცპროკურორ მიულერის გამოძიებაში მონაწილეობა.




თეთრი სახლის წარმომადგენელმა სარა სანდერსმა მაკეიბზე ტრამპის მხრივ ზეწოლის ფაქტი კატეგორიულად უარყო. თანახმად სხვა წყაროებისა, უკანასკნელ ხანს ძალზე დაიძაბა მაკეიბის ურთიერთობები გფბ-ს ამჟამინდელ დირექტორ რეისთან. რეიმ მას განუცხადა, რომ საკუთარი გუნდი ჰყავს და მაკეიბისთვის იქ ადგილი არ არის. გფბ-ს დირექტორის მოადგილეც გადადგა.

# პუტინი ნეთანიაჰუს შეხვდა



Alexei Nikolsky, Sputnik, Kremlin Pool

მოსკოვში ისრაელის პრემიერი ნეთანიაჰუ ჩავიდა. ის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეხვდა. მოლაპარაკებების ძირითადი თემა სირიაში შექმნილი ვითარება იყო.

მხარეებმა განიხილეს როგორც თურქული მხარის მკვეთრი გააქტიურება სირიაში, ასევე ამ ქვეყანაში ირანული ფორმირებების ყოფნისა და ქურთების საკითხიც.

საუბარი მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტების მიერ ებრაელთა გენოციდს და ომში საბჭოთა კავშირის როლსაც შეეხო.

პუტინმა ებრაელ სტუმარს განუცხადა, რომ შეურიგებელია მათ მიმართ, ვინც ჰოლოკოსტს უარყოფს. ამავე დროს, მან გაოცება გამოთქვა იმის გამო, რომ ისრაელი დუმილს ამჯობინებს, როცა რიგ ქვეყნებში საბჭოთა კავშირის როლის დაკნინებას ცდილობენ.

– ბალტიისპირეთში, უკრაინაში, პოლონეთში აღვირახსნილი ანტირუსული და პროფაშისტური პროპაგანდა წარმოებს. უკრაინაში განდიდებული არიან ბანდერა და პეტლიურა! რატომ დუმს ისრაელი? – ასე მიმართა ნეთანიაჰუს პუტინმა.

# მორავეცკი: „ჩრდილოეთის ნაკადი–2“ ევროპას საფრთხეს უქმნის“



პოლონეთის პრემიერმა თადეუშ მორავეცკიმ განაცხადა, რომ პროექტი „ჩრდილოეთის ნაკადი-2“ ევროპას საფრთხეს უქმნის. მისი განხორციელების შემთხვევაში მთელს ევროპაში რუსული გავლენა გაიზრდება.

– შემთხვევითი არაა, რომ დღეს ევროპაში პრორუსული ლობის აქტიურობა მკვეთრად იზრდება! ეს თუნდაც ევროპის საპარლამენტო ასამბლეის სესიაზეც გამოჩნდა, – ამბობს მორავეცკი.

პოლონეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის პრობლემა აშშ-ის სახელმწიფო მდივან რექს ტილერსონთან განიხილა. აშშ-ის პოზიცია პოლონეთისას აბსოლუტურად ემთხვევა.

– იმედი გვაქვს, რომ საერთო ძალისხმევით ამ პროექტის განხორციელებას არ დავუშვებთ, – აცხადებს მორავეცკი.

# რუმინეთის პრემიერი ქალი გახდა



რუმინეთის პარლამენტმა მხარი დაუჭირა რუმინეთის პრემიერის პოსტზე ვიორიკე დენჩილეს დანიშვნას.

ის პირველი ქალია, რომელიც რუმინეთის პრემიერი გახდა. დენჩილე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრია. ახალი პრემიერი მხარს უჭერს სამართლებრივ რეფორმას, რომელსაც რუმინულ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია ხვდა წილად.

აღნიშნულ რეფორმას ევროკავშირშიც სკეპტიკურად უყურებენ, რადგან მიიჩნევენ, რომ ის კორუფციის ზრდას შეუწყობს ხელს.

# მახაჩყალაში რუსეთის პრეზიდენტის მომავალი არჩევნები გააპროტესტეს



მახაჩყალაში აქცია გაიმართა. მისმა მონაწილეებმა რუსეთის პრეზიდენტის მომავალი არჩევნები გააპროტესტეს.

– ფაქტობრივად, ესაა შოუ და არა არჩევნები! შედეგები ხომ წინასწარ ცნობილია, – ითქვა მიტინგზე.

აქციაზე მიიღეს გადაწყვეტილება, შეიქმნას ორგანიზაცია „დაღესტნელი დამკვირვებლები“. ისინი დაღესტნის ტერიტორიაზე რუსეთის პრეზიდენტის არჩევნების მონიტორინგს განახორციელებენ.

# აშშ-მ „კრემლის სია“ გამოაქვეყნა

აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ კონგრესს ე.წ. „კრემლის სია“ გადასცა. მასში ის რუსი მაღალჩინოსნები შევიდნენ, რომელთა მიმართაც სანქციები უნდა განახორციელონ.

სიაში გვხვდება რუსეთის პრემიერ მედვედევის, პუტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ვაინოს, პუტინის თანაშემწეების სურკოვის და პესკოვის სახელები. სიაში არიან ცნობილი რუსი ოლიგარქები სეჩინი, აბრამოვიჩი და ა.შ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროებათანამშრომელიოფისშისამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ზამთრის შესვენების შემდეგ დიდი 10 მეორე წრით განახლდა

### აია-აკადემია 22:9

ქუთაისის აიამ თბილისის აკადემიას მეორე ტაიმში 3 უპასუხო ლელო გაუტანა და მეტოქე ბონუსით 22:9 დაამარცხა.

თბილისელებმა პირველი ტაიმი, განსაკუთრებით მისი სადებიუტო ნაწილი, კარგად ჩაატარეს, სწრაფი კონტრშეტევების შემდეგ 3 დასარტყმელი ჯარიმა გამოიმუშავეს და დავით მოძღვრიშვილმა სტუმრები 9:0 დააწინაურა. ეს საწყის 13 წუთში მოხდა, რის შემდეგაც აკადემიამ ქულის აღება ველარ მოახერხა.

ქუთაისელებმა პირველი ქულები ტაიმის ბოლო წუთზე აიღეს, გიორგი ბაბუნაშვილმა ჯარიმა გაიტანა.

მეორე ტაიმში რიონისპირელებმა ცვლილებებს მიმართეს, აკადემიას დაღლა დაეტყო და 58-ე წუთზე აია პირველად დაწინაურდა. გიორგი როხვაძემ თამაში ააჩქარა, სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ გიორგი აბრამიძე მცველებმა წითელ ზოლში შეაჩერეს, მაგრამ როხვაძემ რაქიდან ბურთი აიტაცა, მცველები გაიტყუა და შებრუნებული პასით ლელო ზურაბ ძნელაძეს გაატანინა. ბაბუნაშვილმა გარდასახვით მასპინძლები დააწინაურა.

აიამ წნეხი გაზარდა, მეტოქის 22-ში დამკვიდრდა და ირაკლი ლუარსაბიშვილი სინბინით დაისაჯა, ერთ წუთში კი საბა ერემეიშვილმა კარგად აგორებული მოლი ლელოთი დაასრულა. ერემეიშვილმა მატჩის მიწურულს მეორე ლელოც მიითვალა, რითაც ქუთაისელებს ბონუსი მოუპოვა, ბაბუნაშვილმა ორიდან ერთი გარდასახა და მატჩი 22:9 დასრულდა.

### ლოკომოტივი-ხარები 33:15

თბილისის ლოკომოტივმა დასკვნით 10 წუთში 3 ლელო გაიტანა, რუსთავის ხარებს ბონუს-ქულით, 33:15 აჯობა და სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილი შეინარჩუნა.

ლოკომოტივის რიგებში გამოჩნდა საფრანგეთიდან დაბრუნებული ბორჯღალოსანი კვაჭი შალვა მამუკაშვილი, რომელმაც რკინიგზელთა შერკინებას დამატებითი სიმძლავრე შესძინა. მის გარდა მოედანზე კიდევ 5 ბორჯღალოსანი იყო – გიორგი ბეგაძე, ბექა წიკლაური და გიორგი აფციაური – თბილისელთა, ხოლო გიორგი კოშაძე და ვაჟა ხუციშვილი რუსთაველთა შემადგენლობაში.

მასპინძლებმა ანგარიში მე-5 წუთზე სწრაფი და ლამაზი შეტევის შედეგად გახსნეს. გარდასახვა არაზუსტი იყო. შემდეგ ტემპს ხარებმაც მოუმატა, რომელთა რიგებში განსაკუთრებული სიმწვავით ფულბეკი ლევან ნარიმანიძე გამოირჩეოდა. მე-16 წუთზე სტუმართა შერკინებამ კარის წინ ჯარიმა გამოიმუშავა და გიორგი ბასილაიამ კარის წინიდან 3 ქულა აიღო – 5:3. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც გუნდებმა ჯარიმა კარში დაარტყეს.

25-ე წუთზე ლოკომოტივმა დერეფნიდან კარგი კომბინაცია გაითამაშა, მოულოდნელ შეტევას მცველები მოუმზადებელი დახვდნენ და ამჯერად წიკლაურის გარდასახვაც ზუსტი იყო.

ხარებმა ისევ სწრაფი შეტევით უპასუხა, რომელიც ნარიმანიძემ თავისი ნახევრიდან წამოიწყო, ნიკა ბერძულმა ხაზი გაჭრა და გიგა ქვლივიძემ მისი ოფლოუდის შემდეგ ლელო გაიტანა, ხოლო ბასილაიამ გარდასახა და ტაიმი ლოკომოტივმა 12:10 მოიგო.

მეორე ტაიმი კიდევ უფრო მაღალ ტემპში დაიწყო. მალევე ხარებმა დერეფნიდან მოლი დააყენა და ვიდეო-რეფერიმ ლელო დააფიქსირა. გარდასახვა არაზუსტი იყო. სტუმრებმა უპირატესობა დიდი ხნით კი შეინარჩუნეს, მაგრამ დასკვნით მეოთხედში პრობლემები შეექმნათ.

66-ე წუთზე გიორგი გოგოლაძე დაისაჯა სინბინით, ხოლო 5 წუთში მას თორნიკე აქუბარდია მიჰყვა. ლოკომოტივმა ორკაცნაკლულ მეტოქეს შერკინებიდან შეუტია და ვახტანგ ამირანაშვილის ლელო წიკლაურმა გარდასახა. 76-ე წუთზე თბილისელებმა მეტობა ერთხელაც გამოიყენეს – ლელოში ლაშა გედეხაური შევიდა.

ბოლო წუთზე ვახტანგ კავთიძემ ხაზი გაჭრა, მას დავით გულიტაშვილი დაეხმარა და ლოკომოტივს ბონუსი მოუტანა. წიკლაურმა ბოლო 2 გარდასახვა ზუსტად შეასრულა და ლოკომოტივმა 33:15 იმარჯვა.

### არმია-ლელო სარასენსი 21:36

ლელო-სარასენსმა თბილისურ დერბიში არმიას პირველ ტაიმში 5 ლელო გაუტანა და 36:0 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ მონაგარს ველარაფერი შემატა, თავად 3 ლელო გაუშვა და



ბონუს-ქულა დაკარგა.

ლელოელებმა მეტოქის შეცდომებით კარგად ისარგებლეს. ირაკლი ყიასაშვილმა ანგარიში ჯარიმით გახსნა, მალევე ბურთი მეტოქის შერკინებაში მოიპოვა და მერაბ კვირიკაშვილის პასის შემდეგ მიზანს ალექსანდრე თოდუამ უწია. მე-8 წუთზე აკა ტაბუცაძემ გადაცემა ჩაჭრა და 70-მეტრიანი რეიდი ლელოთი დაასრულა, ხოლო ტაიმის შუაში მცველები კვირიკაშვილის ცრუ მოძრაობას აჰყვნენ და გამოცდილმა ბორჯღალოსანმა ხაზი მარტივად გაჭრა – 22:0.

23-ე წუთზე ტაბუცაძემ კიდევ ერთხელ ჩაჭრა მეტოქის გადაცემა და დუბლი გაიფორმა, ხოლო 37-ე წუთზე ბექა სალინაძემ რაქიდან შეუტია და თანაგუნდელის დახმარებით ლელოს ხაზი გადალახა. ყიასაშვილის დარტყმები ზუსტი იყო და „ლელო-სარასენსი" 36:0 დაწინაურდა.

თამაში რომ განახლდა, ნიკო აფციაურმა ხაზი გაჭრა და ბურთი 5-მეტრიან წყვეტილამდე მიიტანა, შეტევაში მიხეილ მასხარაშვილი ჩაერთო და მისი ლელო შავლეგ მახარაშვილმა გარდასახა.

არმიამ კიდევ 2 ლელო გაიტანა, რითაც მეტოქეს თითქოსდა განაღდებული ბონუსი ჩამოართვა. 52-ე წუთზე, ახლოში რამდენიმე დარტყმის შემდეგ, ბურთი ფრთაზე ბოლომდე ჩათამაშდა და ნიკა ცირეკიძეს შემჩერებელი აღარავინ იყო. 67-ე და 70-ე წუთებზე ლელო-სარასენსმა სინბინით 2 მოთამაშე – ცისკარა ბერიაშვილი და რევაზ დუგლაძე დაკარგა. არმიამ რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლა, ბურთი მეტოქის შერკინებაში, ლელოდან 5 მეტრში მოიპოვა და ის გოდერძი ჭინჭარაულმა დაამიწა. მახარაშვილმა ორივე გარდასახვა გაიტანა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა, თუმცა მისი გუნდი მაინც ბონუს ქულის გარეშე დარჩა – 21:36.

### არმაზი-ჯიქი 5:31

პირველი ტაიმის დასკვნითი 10 წუთი არმაზმა მოედანზე კაცნაკლულად გაატარა, რითაც ჯიქმა კარგად ისარგებლა, 3 ლელოთი 21 ქულა აიღო და თამაშის ბედი გადაწყვიტა.

ჯიქი შერკინებაში დიდ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ნახევარი საათი უქულოდ მიილია. 30-ე წუთზე არმაზი მოედანზე კაცნაკლული დარჩა და სტუმრებმა მეტობაში 3 ლელო გაიტანეს: 5-მეტრა შერკინებიდან ბურთი ფლანგზე ბოლომდე ჩაათამაშეს და იქ მეტობით ნიკა ბიწაძემ ისარგებლა; 37-ე წუთზე დევი დევსურაშვილმა ბოჭვა აირიდა და ბიწაძეს პასი არ დაუგვიანა, რომელმაც მეორე ლელო გაიტანა; ბოლო წუთზე კი ჯიქმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო და ფეხით ორჯერ თამაშის შემდეგ ლელო დიტო კიკნაძემ მიითვალა. ნინიძემ სამივე გარდასახა – 24:0.

მეორე ტაიმის თითქმის 30 წუთი გუნდებმა უქულოდ ჩაატარეს, მერე კი გორელთა კიდევ ერთმა უკანახაზელმა გამოიჩინა თავი. ნინიძემ მეტოქის გრძელი გადაცემა ჩაჭრა და ლელოს ზუსტი გარდასახვა მიაყოლა. არმაზმა 3 წუთში გიორგი კვესელაძის ლელოთი უპასუხა, სულ ეს იყო – 31:5 და ჯიქმა პრემიალური ქულაც მოიპოვა.

### ბაგრატი-ბათუმი 10:26

ბათუმი დიდი 10-ის აუტსაიდერ ბაგრატს ქუთაისში რამდენიმე ლიდერის გარეშე ეწვია, თუმცა კლასსა და შერკინებაში უპირატესობა სათანადოდ გამოიყენა და 26:10 იმარჯვა. ზღვისპირელებმა 4 ლელო გაიტანეს, მხოლოდ ერთი გაუშვეს და ბონუს-ქულაც მიითვალეს.

მიუხედავად ზღვისპირელთა სათამაშო უპირატესობისა, ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, ზვიად ოდიშარიამ ჯარიმა გაიტანა. სტუმრებმა 23-ე წუთზე უპასუხეს, მეტოქეს ბურთი მისსავე შერკინებაში აართვეს და ვანო ფუტკარაძე მცველებმა ვერ შეაჩერეს, ხოლო დურმიშხან ჯაბნიძემ გარდასახვა გაიტანა.

შესვენებამდე ანგარიში აღარ შეცვლილა, 46-ე წუთზე კი ლაშა ხმალაძემ გაიბრწყინა, მოედნის ცენტრში ხაზი გაჭრა და 22-ში შევიდა, მას გიორგი თხილაიშვილი დაეხმარა, რომელმაც პასი დროულად დააბრუნა და ბორჯღალოსანთა მგეზავმა ლელო გაიტანა. ტაიმის შუაში ბაგრატის ბურჯი ნუგზარ ბალანჩივაძე სინბინით დაისაჯა და ცრუ შერკინება დაინიშნა, რის გამოც ბათუმმა დერეფნიდან მოლი დააყენა, რომელიც ლელოთი ბექა მამრიკიშვილმა დაასრულა. ვიტალი კირინის გარდასახვა ზუსტი იყო – 19:3.

70-ე წუთზე სტუმრებმა კონტრშეტევისას სწრაფად გაშალეს ბურთი და დავით ტრაპაიძემ მეოთხე ლელო გაიტანა, რომელიც კირინმა გარდასახა. თამაში რომ განახლდა ბათუმელები ბურთის მიღებისას ორჯერ შეცდნენ, ბაგრატმა 5-მეტრიანი შერკინებიდან შეუტია და ოდიშარიამ კარის წინ ხაზი გაჭრა. მანვე გარდასახვა სწრაფად შეასრულა, თუმცა დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა და სტუმრებმა ბონუსი შეინარჩუნეს.

# ყაზახები ქართველთათვის ნაცნობ ბილიჩს ნაკრებში ეპატიჟებიან

როგორც მოგეხსენებათ, უეფას მიერ ორგანიზებულ ახალ ტურნირში, რომელსაც ერთა ლიგა ეწოდება, საქართველოს ეროვნული გუნდის მეტოქე ყაზახეთის ნაკრებია. როგორც ირკვევა, ჩვენი მომავალი მეტოქე მთავარ მწვრთნელად სლავენ ბილიჩის კანდიდატურას განიხილავს. ინფორმაციას ყაზახური ვებგვერდები ავრცელებენ.

ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა ფეხბურთის 49 წლის სპეციალისტის აგენტთან რამდენიმეჯერ უკვე ისაუბრეს.

ყაზახი ექსპერტები ბილიჩის კანდიდატურას საუკეთესოდ მიიჩნევენ და უპირველეს პრიორიტეტად მისი რუსული ენის საფუძვლიანად ცოდნას ასახელებენ.

გარდა ამისა, ხაზს უსვავენ მის კარიერასაც: ბილიჩი, 2006-2012 წლებში ხორვატიის ეროვნულ ნაკრებს ხელმძღვანელობდა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ორჯერ გაიყვანა – 2008 და 2012 წლებში. ბილიჩისა და საქართველოს ნაკრების გზები ამ პერიოდში გადაიკვეთა. გეხსომებათ, 2012 წლის შესარჩევ ეტაპზე თბილისში საქართველოს ნაკრებმა ბილიჩის ხორვატიას 1:0 მოუგო, ხოლო სტუმრად 1:2 დამარცხდა.

ბილიჩს ასევე უმუშავია ხორვატულ ჰაიდუკში, თურქულ ბეშიქთაშ-



ში, რუსულ ლოკომოტივში და პრემიერლიგის კლუბებში – ევერტონსა და ვესტ ჰემში. ბოლოს ვესტ ჰემს 2015 წლიდან ხელმძღვანელობდა შარშან შემოდგომაზე გუნდის მიერ ნაჩვენები არადამაკმაყოფილებელი შედეგის გამო დაითხოვეს.

შეგახსენებთ, რომ ერთა ლიგის დ დივიზიონის პირველ ჯგუფში საქართველოს ნაკრები სტარტს 6 სექტემბერს სტუმრად სწორედ ყაზახეთთან მატჩით აიღებს, ხოლო 19 ნოემბერს ყაზახებს უკვე თბილისში უმასპინძლებს.

ამავე ჯგუფში ქართველებისა და ყაზახების მეტოქეები ლატვიისა და ანდორის ნაკრებებიც არიან.

# გიორგი ჭიაბრიშვილი: „ჩვენი მიზანია, კლუბი მაღალი მიზნებისთვის იბრძოდეს"

საფეხბურთო კლუბი საბურთალო ეროვნული ლიგის ახალი სეზონისთვის ემზადება და პირველი შეკრება უკვე დაასრულა. კლუბი თურქეთში ემზადებოდა და დღეს სამშობლოში იქნება. თუმცა, რამდენიმე დღეში კი კვლავ თურქეთში გაემგზავრება, სადაც დასკვნით შეკრებას გაივლის.



საბურთალოს მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჭიაბრიშვილმა პირველი შეკრება შეაჯამა.

**გიორგი ჭიაბრიშვილი:**

– თურქეთის ქალაქ სიდეში საფუძვლიანად მომზადების ყველანაირი პირობა იყო. როგორც სამწვრთნელო შტაბმა, ასევე ფეხბურთელებმა დიდი მოცულობის სამუშაო გაწიეს. საწვრთნელი პროცესი ორჯერადი ვარჯიშებისგან შედგებოდა, პარალელურად კი ამხანაგურ მატჩებს ვთამაშობდით. მახარებს ის, რომ დატვირთვებს ღირსეულად გაუძლეს და ყველა მაქსიმალურად იხარჯებოდა. ასევე, სასიამოვნო და მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ შეკრება სერიოზული ტრავმების გარეშე ჩავატარეთ.

***– მეორე შეკრებაზე აქცენტი რაზე გაკეთდება?***

– ძირითადად ტექნიკა-ტაქტიკას დაეთმობა. ასევე, დაგეგმილი გვაქვს 4 ამხანაგური შეხვედრა. მეტოქეების ვინაობა კი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

***– გუნდს გონსალეს ვაგნერი დაუბრუნდა.***

– ვაგნერის დაბრუნების დიდი სურვილი მქონდა. მისი ბელგიური კარიერა ვერ აეწყო. ჩვენთვის ეს ფეხბურთელი დიდ ძალას წარმოადგენს და სარგებლობის მოტანა შეუძლია. მოხარული ვარ, რომ ჩვენი კლუბის ხელმძღვანელებმა შეძლეს, როგორც ფეხბურთელთან, ასევე მის აგენტთან წარმატებით მოლაპარაკება. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელს ბელგიურ კლუბთან კონტრაქტი კიდევ ნახევარი წელი აკავშირებდა, მხარეებმა მოილაპარაკეს და ვაგნერი ისევ ჩვენთანაა. თავად ფეხბურთელის დიდი სურვილიც იყო საბურთალოში დაბრუნება.

***– ყოველთვის აქტუალურია გიორგი ხარაიშვილის საკითხი. რა ხდება მასთან დაკავშირებით, რჩება საბურთალოში?***

– ხარაიშვილი საბურთალოს კაპიტანი, გუნდის სული და გულია, ჩვენი აკადემიის აღზრდილია. რა თქმა უნდა, ინტერესი არის მის მიმართ, მაგრამ როდესაც კონკრეტული და ჩვენთვის მისაღები შემოთავაზება იქნება, ამას ყველა გაიგებს.

***– გასული წლისგან განსხვავებით, ამჯერად საბურთალოს თამასა ბევრად აწეულია. ხშირად მოისმენს ადამიანი, რომ წლეულს გუნდი მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. ამის თქმის საფუძველს რა აძლევთ?***

– ყველაზე დიდი შემფასებელი გულშემატკივარია. თუ ასე ფიქრობენ და ხედავენ, რა თქმა უნდა, ეს ფაქტი მახარებს. ესე იგი, ამ წლების განმავლობაში საბურთალომ გულშემატკივარსა და ამ სფეროში ჩახედულ ადამიანებს დაანახა გარკვეული ძალა. ვცდილობთ, ყოველთვის საინტერესო და კონკურენტუნარიანი კლუბი გვყავდეს, ყოველთვის მაღალი მიზნებისთვის იბრძოდეს. ჩვენ სისტემატურად ამისთვის ვმუშაობთ.

***– ახალი სეზონიდან ეროვნული ლიგის მთავარი მწვრთნელები პრო ლიცენზიას უნდა ფლობდნენ. სემინარები თებერვალში დაიწყება. რას იტყვით ამის შესახებ, როგორ ემზადებით მოახლოებული კურსებისთვის?***

– როგორც კლუბის მთავარი მწვრთნელი, აუცილებელია, რომ მქონდეს პრო ლიცენზია. აღნიშნული პროცესი დიდი გამოწვევაა ჩემთვის, სასიხარულოა, რომ მეძლევა შესაძლებლობა, ცოდნა კიდევ უფრო გავიღრმავო და უფრო მეტი გამოცდილება მივიღო. ამ კუთხით და არა მარტო ამ მიმართულებით ძალიან ბევრს მუშაობს ფეხბურთის ფედერაცია.

# შედეგები

**29 იანვარი**

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-ბეტისი ............................... 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 21 | 18 | 3 | 0 | 59-10 | 57 |
| 2.ატლეტიკო | 21 | 13 | 7 | 1 | 32-9 | 46 |
| 3.ვალენსია | 21 | 12 | 4 | 5 | 42-25 | 40 |
| 4.რეალი | 20 | 11 | 5 | 4 | 43-19 | 38 |
| 5.ვილიარეალი | 21 | 11 | 4 | 6 | 32-24 | 37 |
| 6.სევილია | 21 | 10 | 3 | 8 | 27-29 | 33 |
| 8.სელტა | 21 | 9 | 4 | 8 | 38-30 | 31 |
| 8.ეიბარი | 21 | 8 | 5 | 8 | 26-33 | 29 |
| 9.ხეტაფე | 21 | 7 | 7 | 7 | 26-21 | 28 |
| 10.ხირონა | 21 | 7 | 7 | 7 | 29-29 | 28 |
| 11.ლეგანესი | 20 | 8 | 4 | 8 | 20-21 | 28 |
| 12.ბილბაო | 21 | 6 | 9 | 6 | 24-23 | 27 |
| 13.ბეტისი | 21 | 8 | 3 | 10 | 35-44 | 27 |
| 14.ესპანიოლი | 21 | 6 | 6 | 9 | 18-28 | 24 |
| 15.სოსიედადი | 21 | 6 | 5 | 10 | 36-40 | 23 |
| 16.ლევანტე | 21 | 3 | 10 | 8 | 18-30 | 19 |
| 17.ალავესი | 21 | 6 | 1 | 14 | 17-31 | 19 |
| 18.დეპორტივო | 21 | 4 | 5 | 12 | 24-46 | 17 |
| 19.ლას პალმასი | 21 | 4 | 2 | 15 | 16-50 | 14 |
| 20.მალაგა | 21 | 3 | 4 | 14 | 14-34 | 13 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-არმინია ............................ 0:1

**იტალია. სერია ბ**

ტერნანა-სალერნიტანა ................. 2:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

რეიმსი-ლორიანი ......................... 0:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფერეირა-ფეირენშე ...................... 2:1

პორტიმორენშე-რიუ ავე ............... 4:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბაშაქშეჰირი-ქარაბუქი ................. 5:0

# იტალიური ფეხბურთის მორიგი სკანდალი



იტალიის ფეხბურთის ფედერაცია და სკანდალები განუყოფელი ნაწილია. ამჯერად დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნები ვერ ჩატარდა.

თანამდებობის დაკავების სურვილი 3 კანდიდატს – დამიანო ტომაზის, გაბრიელე გრავინასა და კოსიმო სიბილიას ჰქონდათ.

ფედერკალჩოს პრეზიდენტის გამოსავლენად საჭირო გახდა 4 ტურის ჩატარება, თუმცა დასრულება არ ეწერა... მეოთხე რაუნდში ერთ-ერთი კანდიდატი ხმების უმრავლესობით აუცილებლად გაიმარჯვებდა, მაგრამ ეს რაუნდი აღარ ჩატარდა, რადგან ხმის მიცემის უფლების მქონე იმ ფეხბურთელებმა ჩაშალეს, რომლებიც მხარს დამიანო ტომაზის უჭერდნენ. მათ მეოთხე რაუნდში მონაწილეობაზე უარი თქვეს, რის შედეგადაც კვორუმი არ შედგა. ტომაზი კი არჩევნებს მესამე ტურში გამოეთიშა.

შეგახსენებთ, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი კარლო ტავეკიო დაკავებული თანამდებობიდან მას მერე გადადგა, რაც იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური ვერ მოიპოვა, და ახლა ეს პოსტი ვაკანტურია. გეტყვით იმასაც, რომ „სკუადრა აძურა“ ბოლო 60 წლის განმავლობაში პირველად დარჩა მუნდიალს მიღმა.

ახლა იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა სპეციალური კომისარი უნდა დანიშნოს, რომელსაც ხუთშაბათს დაასახელებს. იტალიური მედიის ინფორმაციით, დიდი შანსია, რომ კომისარი თვითონ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯოვანი მალაგო გახდეს.

# საკუთარ ქორწილში დაგვიანებით მისული პატარძალი სასიძომ მიატოვა

ბრიტანელი ქალი საკურთხეველთან მას შემდეგ მიატოვეს, როდესაც მან საკუთარ ქორწილში დააგვიანა.

ნიკოლა ტიუიმ განმარტა, რომ იმ დღეს მას უამრავი პრობლემა გამოუჩნდა: მას გაუკეთეს მაკიაჟი, „როგორც სოფლის კახპას“, და სახლში დაბრუნდა მის ჩამოსაბანად. იქ აღმოჩნდა, რომ მშობლებმა, რომლებიც ქალიშვილის არჩევანს არ მიესალმებოდნენ, გადაწყვიტეს, ცერემონიას არ დასწრებოდნენ და მის შვილებს ჩაცმაში არ დაეხმარნენ. საპატარძლო იძულებული გახდა, ისინი სასტუმროში წაეყვანა გამოსაწყობად, მაგრამ სიჩქარეში გოგონას კაბა დარჩა.



საბოლოოდ მან ჩაიცვა საქორწინო კაბა და გადაწყვიტა ეკლესიაში დამოუკიდებლად წასულიყო, მაგრამ რეტრო-ავტომობილში, რომელიც იჯარით იყო დაქირავებული, უსაფრთხოების ღვედი არ აღმოჩნდა, ამიტომ ქალმა ვერ გაბედა მათში ბავშვების ჩასმა. ამავე დროს მას მისმა საუკეთესო მეგობარმა დაურეკა და უთხრა, რომ მის ქორწილში მისვლას ვერ შეძლებდა.

– ნახევარი საათი დრო მქონდა დარჩენილი, ეკლესიამდე კი 32 კილომეტრი მანძილი იყო. მე უბრალოდ სასოწარკვეთილებისგან საწოლში ჩავწექი, – აღიარა ტიუიმ. შემდეგ ის წავიდა სახლში, თავისი გოგონას ჩასაცმელი წამოიღო და ეკლესიაში მივიდა, სადაც მას საქმრომ უთხრა ყველაფერი, რასაც მასზე ფიქრობდა.

საქმრომ ტიუის განუცხადა, რომ მათ შორის ყველაფერი დასრულდა, თუმცა მოგვიანებით დაცხრა და დაჰპირდა, რომ კიდევ დაფიქრდებოდა.

აღსანიშნავია, რომ წყვილი ქორწილისთვის წელიწადნახევარი ემზადებოდა და 12 ათასი ფუნტი სტერლინგი დახარჯა. რამდენიმე დღით ადრე მათ რეპეტიციაც კი გაიარეს და მაშინ ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

# გვილია შვეიცარიაში ითამაშებს

ალბათ უიშვიათესი შემთხვევაა, როდესაც ქართველი ფეხბურთელი ევროპის საშუალო დონის ჩემპიონატში გადადის სათამაშოდ და გასახარია, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ვაკო გვილია კარიერას შვეიცარიის სუპერლიგის კლუბ ლუცერნში გააგრძელებს. კლუბის ვებგვერდის ცნობით, ქართველმა ნახევარმცველმა კლუბთან ხელშეკრულება 2020 წლამდე გააფორმა.

ლუცერნმა 2016-17 წლების სეზონში შვეიცარიის ჩემპიონატში მე-5 ადგილი დაიკავა, თუმცა მიმდინარე სეზონში წარუმატებლად ასპარეზობს, 10 გუნდს შორის მე-9 ადგილზეა. ლუცერნს 20 ქულა აქვს და 3 ქულით უსწრებს ბოლოადგილოსან სიონს. თუმცა, მესამეადგილოსანს 8 ქულით ჩამორჩება. ასე რომ, ცხრილში სიმჭიდროვეა.




ეს ინფორმაცია იმითიც არის სასიხარულო, რომ გვილიას ბოლო პერიოდში სათამაშო პრაქტიკა აკლდა და ბელარუსული ბატეს შემადგენლობაში იშვიათად ჩნდებოდა. ეს ბოლო სანაკრებო მატჩებშიც დაეტყო.

გვილიას უთამაშია უკრაინისა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებებში, 2016 წელს გია გეგუჩაძემ გვილია საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვია, შემდეგ კი ეროვნულ გუნდში ვლადიმირ ვაისმა იხმო. მოთამაშემ საქართველოს ეროვნულ გუნდში 11 მატჩი ჩაატარა, ერთი გოლი ავსტრიასთან გასვლით მატჩში გასული წლის სექტემბერში გაიტანა.

23 წლის ნახევარმცველს ასევე უთამაშია ზაპოროჟიეს მეტალურგში, მინსკსა და ბორისოვის ბატეში

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# ამერიკელმა მილიონი დოლარი მოიგო და გარდაიცვალა



ამერიკელი მამაკაცი, რომელმაც ლატარიაში მილიონი დოლარი მოიგო, ფულის მიღებიდან სამი კვირის შემდეგ გარდაიცვალა.

გასული წლის დეკემბრის დასაწყისში 51 წლის დურგალმა დონალდ სავოსტანომ, ნიუიორკის შტატის ქალაქ სიდნეიდან, სადღესასწაულო ლატარიის ათდოლარიანი ბილეთი იყიდა. დამცავი ფენის გადაფხეკის შემდეგ მან აღმოაჩინა, რომ მილიონი დოლარი მოიგო.

ლატარიის წესების თანახმად, მოგებულ თანხას გამარჯვებული ნაწილ-ნაწილ რამდენიმე წლის განმავლობაში მიიღებს. თუმცა ამ პროცესის დასაჩქარებლად, გამარჯვებულს შეუძლია უარი თქვას თანხის ნაწილზე და დარჩენილი თანხა ერთბაშად მიიღოს. სავოსტანომ სწორედ ეს ვარიანტი აირჩია და 4 იანვარს ლატარიის ორგანიზატორებმა მას 661,8 ათასი დოლარის ქვითარი გადასცეს.

მოგების შემდეგ დურგალმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მას სიბერისთვის არაფერი ჰქონდა გადანახული.

– ეს თანხა ჩემ სიბერეს უზრუნველყოფს, – განაცხადა მან, – ექსტრავაგანტურ გეგმებს არ ვაგებ. ვიყიდი ახალ პიკაპს, ვალებს გავისტუმრებ და დარჩენილ თანხას სამომავლოდ გადავდებ.

რამდენიმე დღეში სავოსტანოს ბოლო სტადიის სიმსივნე დაუდგინეს, 26 იანვარს კი გარდაიცვალა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ამერიკაში აღმოსავლური პუმა გადაშენდა

აღმოსავლური პუმა ამერიკის გაქრობის პირას მყოფი გარეული ცხოველების ფედერალური ჩამონათვალიდან ამოიღეს და ის უკვე გადაშენებულადაა აღიარებული. ამ ინფორმაციას აშშ-ის თევზის რესურსების და გარეული ცხოველების დაცვის სამსახური ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ ზოოლოგების შეფასებით, აღმოსავლური პუმა სიაში შეყვანამდე ჯერ კიდევ რამდენიმე ათწლეულის წინ გადაშენდა. მეცნიერები აცხადებენ, რომ ჯერ კიდევ 1930-იან წლებში ვერ იქნა აღმოჩენილი ამ სახეობის ვერც ერთი წარმომადგენელი, რომლებიც მანამდე ქვეყნის აღმოსავლეთ შტატებში ბინადრობდნენ, მათ შორის სანაპირო ჭაობებში, მთებსა და ტყეებში.

კანადას, სადაც ასევე ბინადრობდა კატისებრთა ოჯახის ეს წარმომადგენელი, საკუთარი პოზიცია ამ საკითხზე არ გამოუხატავს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



# ასტროპროგნოზი

## 31 იანვარი



**ვერძი** – პარტნიორი თქვენს მოტყუებას აპირებს. ეს კი კონფლიქტს გამოიწვევს. ძალიან დიდი შორსმჭვრეტელობა და სიდინჯე გმართებთ. **კურო** – გიუმჯობესდებათ ურთიერთობა ახლობლებთან და ნათესავებთან. ინტიმურ სფეროში სასიამოვნო სიახლე გელით. **ტყუპები** – საინტერესო მოვლენებით აღსავსე პერიოდია. რეკომენდებულია შემოქმედებითი შეხვედრები. **კირჩხიბი** – ერიდეთ კამათს. სხვის საქმეში არ ჩაერიოთ. ფიზიკური დატვირთვა მოგიხდებათ და გაგახალისებთ. **ლომი** – ინტუიცია გიმახვილდებათ. დღეს თქვენს მოტყუებას ვერავინ შეძლებს. გიმართლებთ პარტნიორულ ურთიერთობებში. **ქალწული** – კეთილისმყოფელი დღეა მოგზაურობისათვის, ქალაქგარეთ გასასვლელად. ახალი შთაბეჭდილებები თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე დადებითად იმოქმედებს. **სასწორი** – ზომიერება დაიცავით. სასურველსა და რეალობას შორის ზღვარი გაავლეთ. **ღრიანკალი** – განიწმინდეთ სულიერად, ეცადეთ, კეთილი საქმეები აკეთოთ. გარშემომყოფებს საშუალება მიეცით, თავიანთი საუკეთესო თვისებები გამოავლინონ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს. შემოსავალი გეზრდებათ. **თხის რქა** – საქმეში არასტანდარტული მეთოდები გამოიყენეთ. შემთხვევით ნაცნობობას თავი აარიდეთ. **მერწყული** – ყურადღებით იყავით საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. ინტიმურ სფეროში უსიამოვნებაა მოსალოდნელი. **თევზები** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ბიზნესსაქმიანობა დღეს არასასურველია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მოდგმა, შთამომავლობა; 2. საყანედ გაკაფული ტყის ზოლი; 3. იტალიის ეროვნული გმირი; 4. ხორბლის, ფქვილის, მარცვლეულის ვაჭარი ძველად; 5. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 8. მაღალხარისხოვანი ღვინო; 9. შთაგონებით გამოწვეული, ძილთან მიახლოებული მდგომარეობა; 10. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 12. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 13. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში; 15. მაგიდა სადურგლო სამუშაოებისათვის.

**თარაზულად**: 1. ტბა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. მგალობელი ჩიტი; 10. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 11. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 13. „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი; 14. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 16. დიპლომატიური წარმომადგენელი; 17. ადამიანის დასნებოვნება ცხოველური პარაზიტებით; 18. ავი, ანჩხლი დედაკაცი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მუმბაი; 2. ღვინო; 3. ბობი; 5. თამადა; 6. შტატი; 7. ლივადია; 11. აზალია; 13. არიფანა; 14. დინგო; 15. ცენზორი; 16. კურსები; 17. ბატატი; 19. აქცია; 20. მესა.

**თარაზულად:** 1. მაღრიბი; 4. გოეთე; 8. ბრიზი; 9. მიზა; 10. ბონსაი; 12. კასკადი; 14. დილა; 15. ცაგარელი; 16. კონკა; 18. მაზდა; 21. ტოკაი; 22. ბობსლეი; 23. ისტვუდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ეშხი; 2. იზა; 3. გერიატრია; 4. ხომლი; 5. ვიმპელი; 8. ნიკე; 9. ვაგნერი; 10. შოკოლადი; 12. ბასტრი; 13. გროტი; 15. ქაცვი.

**თარაზულად:** 1. ეპილოგი; 6. ბეისბოლი; 7. ხუნტა; 10. შტილი; 11. აკაბა; 13. გონიო; 14. კოქსი; 16. ტახო; 17. აერაცია; 18. მწნილი.

# ძველი კინოსტუდიის პავილიონი იყიდება

თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე 20-იანი წლების კულტურისა და არქიტექტურის ძეგლი – ძველი კინოსტუდიის პავილიონი იყიდება.

ინფორმაცია ძველი კინოსტუდიის პავილიონის გაყიდვის შესახებ **გაგა ჩხეიძემ** გაავრცელა:

– იყიდება 20-იანი წლების კულტურისა და არქიტექტურის კიდევ ერთი ძეგლი – ძველი კინოსტუდიის პავილიონი!

თუ რა მოაქვს კულტურის კერების პრივატიზებას, კინოთეატრ „აპოლოს“ მაგალითზე ვნახეთ. ძალიან სამწუხაროა, რომ ქართული კინოსაზოგადოება აღმოჩნდა სრულიად უნიათო, წინ აღდგომოდა კინოსტუდიის ხელმძღვანელობისა და ცალკეული პირების მავნებლობას, როცა მათ ეს პავილიონი, სრულიად უნიკალური ძეგლი, გაასხვისეს.

რა ბედი ეწევა ამ შენობას, ძნელი სათქმელია.



პირადად მე მქონდა იდეა, ძველ პავილიონში დაგვეფუძნებინა ქართული კინოს მუზეუმი, რომელიც იქნებოდა ცენტრალური ინსტიტუცია ამ სივრცეში. მის პარალელურად აქ იარსებებდა უამრავი კულტურული თუ კომერციული ობიექტი, რომელთა ერთობლიობა ახალ, თანამედროვე, უაღრესად საინტერესო ატრაქციონად აქცევდა ამ შენობას. მით უმეტეს, რომ ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე, რომელიც „ქართული ფილმის განვითარების ფონდის“ საკუთრებაა, გარკვეული ამბიციური გეგმები არსებობს. ამ უბანშია ასევე კინოსთან დაკავშირებული კიდევ ორი ძეგლი: კინოთეატრი „აპოლო“ და თეატრის, კინოს, მუსიკისა და ცეკვის მუზეუმი, ასევე კინომსახიობთა თეატრი.

ისღა დაგვრჩენია, ვიმარჩიელოთ, რას მოიმოქმედებს ახალი მესაკუთრე. დიდი შანსია, რომ დაანგრიოს და კორპუსები (ან ფეშენებელური სასტუმრო) წამოჭიმოს.

კარგი იქნება, თუ ქალაქი და კულტურის სამინისტრო დაინტერესდება ამ ძეგლის ბედით.

პ.ს. ფოტო ახლახანს გადავიღე.

**ქეთი დოლიძე:**

– ჩემი ბედნიერი ბავშვობა! ბრწყინვალე პავილიონი, სადაც უამრავი ქართული ფილმი შეიქმნა! ნებისმიერ ქვეყანაში ამას გაუფრთხილდებოდნენ, გამოიყენებდნენ, როგორც უნიკალურ სივრცეს, რადგან ერთ-ერთი კი არა, ერთადერთი ყველაზე დიდი პავილიონი იყო საბჭოთა კავშირში! ახლაც ასეა! ნუ გადავაგდებთ, კინოს შემოუნახოთ! დავაინტერესოთ სხვა რეგიონები! იქნებ შეიძლება კიდევ გადავარჩინოთ რამე მაინც!

**ნატა ფერაძე:**

– აქ რა გაასწორებდა? სახინკლე თუ კაზინო?

**თამარ ამაშუკელი:**

– იყიდებაო ფოტო დადო გაგა ჩხეიძემ. გაყიდვა ჩვენში ხშირად ნგრევას ნიშნავს, ამიტომ პრევენციულად მინდა მოგახსენოთ, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარი და ყველაზე დიდი პავილიონი აგებულია 1927-30 წლებში არქიტექტორ მიხეილ ბუზოღლის მიერ და წარმოადგენს ქართული კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნიმუშს. კონსტრუქტივიზმი 1932 წელს აკრძალულ იქნა, როგორც სოციალისტური სახელმწიფოსთვის შეუფერებელი სტილი.

ქართულმა არქიტექტურამ საკმაოდ მცირე დროში, შექმნა განსხვავებული სახე ქართული ავანგარდული არქიტექტურისა, რომელიც თანამედროვე და ქართული ტრადიციული ხუროთმოძღვრების თავისებურებათა სინთეზზე იყო აგებული.

ქართული კონსტრუქტივიზმის მნიშვნელოვანი მაგალითებია: „ზარია ვასტოკა“, არქიტექტორი ჩისლიევი, სტადიონის წინ არსებული ე.წ. „ტრამვაელთა დასახლება“, არქიტექტორი ჩისლიევი, თბილისის ელექტროქვესადგური, არქიტექტორები კალგინი, მაჭავარიანი. პურის ქარხანა, არქიტექტორი ნესტროვი, კავშირგაბმულობის სახლი, არქიტექტორი სოლომონოვი, რომელსაც მოგვიანებით შეეცვალა ფასადი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, არქიტექტორი სევეროვი, ისტორიის ინსტიტუტი, არქიტექტორი ლეონტიევი, დაინგრა 2017-ში.

გაფრთხილება! ობიექტს გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი, შესაბამისად დაინტერესებულმა პირებმა არც კი იოცნებონ დავანგრევ-კორპუს-ბიზნეს ცენტრ ჩადგმაზე!

**გენო ცაავა:**

– სოს! ამ ფეოდალიზმის და სრული საქაჯეთის წინააღმდეგ სახალხო ლაშქარი და „ქუდზე კაცი“-ა საჭირო! სახელმწიფოს ან შენობის ნაციონალიზაცია უნდა განვახორციელებინოთ, კულტურული ძეგლის სტატუსი უნდა მივანიჭებინოთ და ისევ ქართულ ფილმზე დავაბრუნებინოთ! ხოლო ამ შენობაში და მის უნიკალურ სივრცეში რა შეიძლება მოეწყოს, ამაზე შემდეგ...

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# მიქელანჯელოს გრაფიკული ნამუშევრები ეროვნულ გალერეაში გამოიფინება



მიქელანჯელოს ბუონაროტის გრაფიკული ნამუშევრები ეროვნულ გალერეაში 2 თებერვლიდან გამოიფინება.

ექსპოზიცია საქართველოს ეროვნული მუზეუმის და საქართველოში იტალიის საელჩოს ორგანიზებით გაიმართება.

2 თებერვლიდან ხელოვნების მოყვარულთათვის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში მიქელანჯელოს ექვსი გრაფიკული ნამუშევარი იქნება წარმოდგენილი ფლორენციის „კაზა ბუონაროტის“ მუზეუმის კოლექციიდან.

მხატვრის ორიგინალი ნამუშევრების ექსპოზიციას საქართველოში მუზეუმის დირექტორი ალესანდრო ჩეკი 31 იანვარს ჩამოიტანს.

თბილისში კი გამოფენა 3 აპრილამდე გაგრძელდება.

# ვალერიან შიუკაშვილი ილია მეორის აღსაყდრების 40 წლის იუბილეს კონცერტს მიუძღვნის



პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრების 40 წლის იუბილეს კონცერტს მიუძღვნის.

14 იანვარს რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში წლების მანძილზე ნანატრი ტანდემი შედგება. ვალერიან შიუკაშვილი და ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით ერთობლივ კონცერტს გამართავენ.

პატრიარქისადმი მიძღვნილ კონცერტზე ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტი შესრულდება.

# გურანდა გაბუნია მარჯანიშვილის თეატრში პრემიერას ითამაშებს




მსახიობი გურანდა გაბუნია მარჯანიშვილის თეატრში ახალ სპექტაკლში ითამაშებს.

31 იანვარს დიდ სცენაზე წარმოდგენილი იქნება რეჟისორების ლევან წულაძის და ანა ცუცქირიძის სპექტაკლი „წმინდა ურჩხულები“. სპექტაკლში გამოყენებულია ჟან კოკტოს „წმინდა ურჩხულების“ სიუჟეტი. სპექტაკლის სცენოგრაფი ლევან წულაძეა, მუსიკალური გამფორმებელი ზურაბ გაგლოშვილი, კოსტიუმების მხატვარი ნინო სურგულაძე, ქორეოგრაფი კი თინათინ წულაძე.

სპექტაკლში გურანდა გაბუნიასთან ერთად მონაწილეობენ მსახიობები ზაზა გოგუაძე, ქეთევან გეგეშიძე, ანა ვასაძე და კონსტანტინე როინიშვილი.

– იყო დრო, საერთოდ არ ვიძინებდით ორი-სამი დღე, ერთხელ ერთი კვირაც გადავაბით. მხოლოდ მაშინ, როცა მუშები დეკორაციას ცვლიდნენ, აქვე კულისებში დაკეცილ, მტვრიან ფარდებზე გვეძინა. ეჰ, მაშინ ახალგაზრდები ვიყავით, დაღლა რა იყო, არც ვიცოდით. ეს სხვა გენერაციაა, ჩვენი თაობა აბოდებდა ტოლსტოიზე, დოსტოევსკიზე. მათი თაობა კი ფროიდით ცხოვრობს, დეტექტივებით, კინოთი. ჩვენ ისევ ერთად, ძველებურად ვიქნებით, ჩვენ საყვარელ ღარიბ თეატრში. სანამ ახალგაზრდები მოვლენ. მერე მოვლენ და გაგვაგდებენ. მაგრამ მანამდე კბილებით, ბრჭყალებით, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ჩავებღაუჭები ამ თეატრს და არსადაც არ წავალ, – ასეთია საპრემიერო სპექტაკლის გზავნილები მაყურებლისადმი, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე გათამაშდება.

# „ჩემი სამზარეულოს წესები“ კახეთის წარმომადგენლებმა მოიგეს



„რუსთავი 2“-ზე დასრულდა კულინარიული გადაცემა „ჩემი სამზარეულოს წესები“, რომელშიც 6 კონკურსანტი წყვილიდან საუკეთესო გამოვლინდა.

თბილისის, სამეგრელოს, კახეთის, ქართლის წარმომადგენლების დაკომპლექტებული წყვილებიდან ფინალში დარჩნენ თეა და თამუნა თბილისიდან და სოფო და ლიზი კახეთიდან.

ფინალში მათ სამი საათის განმავლობაში უნდა მოემზადებინათ სამი კერძი – აპეტაიზერი, მთავარი კერძი და დესერტი. მათი კერძები 6-კაციანმა ჟიურიმ დააგემოვნა და შეაფასა. ჟიურიმ თბილისის წარმომადგენლებს 49 ქულა მიანიჭა, კახეთის წარმომადგენლებს კი – 58 ქულა.

გადაცემის გამარჯვებულები გახდნენ დედა-შვილი კახეთიდან – სოფო და ლიზი. მათ კომპანია „ბიუ ბიუს“ მიერ დაწესებული 50.000 ლარი გადაეცათ საკუთარი რესტორნის გასახსნელად.

მეორე ფინალისტ წყვილს თამუნას და თეას კი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა ფულადი პრიზი 10.000 ლარი გადასცა.

საჩუქრის გარეშე არც პროექტის სხვა წყვილები დარჩენილან. „ჩემი სამზარეულოს წესების“ სპონსორებმა და მხარდამჭერებმა ისინი სხვადასხვა პრიზებით დააჯილდოვეს.

# სპილომ მანქანა დააზიანა და ეშვი დაკარგა



აფრიკაში საფარის დროს ტურისტებს თავს სპილო დაესხა. აღნიშნული ინციდენტი ვიდეოზე იქნა გადაღებული და ის სოციალურ ქსელებში გავრცელდა.

ვიდეორგოლი სასეირნოდ განკუთვნილი სპეციალური ჯიპიდან იქნა გადაღებული ბოტსვანის ეროვნულ პარკ ჩობეში. როგორც კადრებში ჩანს, თავდაპირველად მანქანის წინ, გზაზე დედა სპილო გადადის სპლიყვთან ერთად. მათ უკან მომავალმა სპილომ, როგორც ჩანს, მანქანა ჯოგისთვის საფრთხის შემცველად ჩათვალა, ამიტომ მან ჯერ გაფრთხილების ნიშნად დაიღრიალა, შემდეგ კი მანქანისკენ გაექანა და ტურისტების ყვირილის ფონზე ეშვებით დაეტაკა.

დარტყმა ისეთი მძლავრი აღმოჩნდა, რომ სპილოს ეშვი მოსტყდა. ჯიპის მძღოლმა სიჩქარე აკრიფა და მდევარს თავი დააღწია. მასში მსხდომი ტურისტებიდან არავინ დაშავებულა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

გარდაიცვალა საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილი პრორექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

**ნინელი რატიანი**

პანაშვიდი: 30, 31 იანვარს.

დაკრძალვა: 1 თებერვალს, 14 საათზე.

მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის II მიკრორაიონი, I კვარტალი, კორპ 1ა, ბინა 49 (სკოლის წინ).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

ოთხშაბათი
31 იანვარი

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ან/ფ "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 03.00 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.15, 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 13.00 დოკ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.25, 20.00 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 14.30 დოკ/ფ "ჯანმრთელობა-მუდამ კარგ ფორმაში" 15.30 დოკ/ფ 16.30, 05.35 ტ/სერ. "**ადვოკატები**" 18.30 დოკ/ფ "გონების თამაშები" 22.15 დოკ/ფ "თოფ-გიარი" 23.15 მხ/ფ "**შემთხვევით შეხვედრილი გულები**" (პ.ფორდი) 01.25 მხ/ფ "**ნარკოტიკი**" 04.00 მხ/ფ "**დინების საწინააღმდეგოდ**" (ჯ.ფაინსი)

06.30, 18.50, 19.03 სერ. "**დასაწყისი**" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, ქრონიკა 10.15, 11.20 სერ. "**ელიფი**" 12.30 იმედის დღე 14.40, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 17.45 სერ. "**ცოდვილი**" 4 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**ფავორიტი**" 9 სერ. 22.00 პრაიმ შოუ 23.30 სერ. "**ღირსების საქმე**" 3 სერ. 01.00 მხ/ფ "**წინასწარმეტყველი**" 03.20 მხ/ფ "**მთასვლელი**" 05.35 მხ/ფ "**მტრის ზურგში**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" 07.00, 20.03 სერ. "**დიდი ოჯახი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ბედის ანაბარა**" 15.40 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**ოთხი ისტორია**" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 კომედი შოუ 00.00, 01.00, 02.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი

tv პირველი 7.50 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00, ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**რამონზე შეყვარებული**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 14.00, 16.00 ლევან ჩხაიძის დღის ამბები 15.00, 22.45, 7.00 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00, მხ/ფ 20.00 პოლიტმეტრი 23.30 სერ. "**დამალული სიმართლე**"

08.00 ან/ფ "ვარსკვლავური ომები" 09.00 სერ. "**ერთხელ ზღაპარში-2**" 12.00, 21.00 სერ. "**ელ პრინსიპე**" 13.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება 9**" 17.00 სერ. "**ქუანტიკო-2**" 19.00 სერ. "**ჯაშუში 3**" 22.30 სერ. "**ვიკინგები**" 5-6 00.30 მხ/ფ "**სისხლიანი ალმასი**" 02.40 მხ/ფ "**სიცრუეთა ერთობლიობა**" 04.40 მხ/ფ "**არგო**" 06.30 მხ/ფ "**25-ე საათი**"

იბერია 08.00 ანანდა 08.10 ანიმაცია 08.30 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 20.30, 01.00 ახალი ამბები 11.20 მე რომ ვიყო 11.30 ბიზნესკოდი 13.30, 17.30 ახალი ამბები არჩილ გამზარდიათან ერთად 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.20 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.00 ფაბრიკა 18.00 ანონსი 18.05 სერ. 21.30 მე რომ ვიყო 20.00 თავისუფალი სივრცე 21.00 სერ. "**პირადი საქმე**" 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 23.00 ინტერვიუ ვანიჩკასთან 00.00 სერ. "**ვალანდერი**" 03.00 თავისუფალი სივრცე

06.10 დ/ფ "ველური ბუნება" 06.30 მხ/ფ "**მე, ბებია ილიკო და ილარიონი**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 საგალობელი 08.30 მოკ/ფ "**თედო**" 09.15 მულტფილმი "პიტერ პენი" 11.00 დ/ფ "გაღმამხარელნი" 11.55 შვიდგზის ლოცვა 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ/ფ "**ალყა**" 13.30 კონცერტი - ელისო გოგიბედაშვილი -მომავლის ვარსკვლავები 15.05 მხ/ფ "**კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის**" 16.20 კონცერტი - ანს."გულანი" 17.40 ეთნოგრაფიული ჩანახატი 18.10 კონცერტი -ინოლა გურგულიას ხსოვნის საღამო 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.25 მხ/ფ "**მეტიჩარა**" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ძილი ნებისა 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ 23.35 მოკ/ფ "**ბზიანეთი**" 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.35 მხ/ფ "**ლოლიტა**" 01.45 კონცერტი -დევიდ გარეტი 03.30 მხ/ფ "**გლადიატორი**"

მაესტრო 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**31 იანვრისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.495 | ევრო — 3.0998 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5204 | 100 რუსული რუბლი — 4.4331 |

**ამინდის პროგნოზი 31 იანვრისთვის**





## 1 თებერვლიდან

**საქართველოს მეფეთა ისტორია**




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 6 თებერვლიდან




ავთანდილ ბუხრაშვილი

**ვინ მოკლა ინსპექტორი**

ქართული დეტექტივი
ტომი 6-7

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## დანიელ სტარიჯი კარიერას ვესტ ბრომვიჩში გააგრძელებს



დანიელ სტარიჯი იჯარის წესით ვესტ ბრომვიჩ ალბიონში გადავიდა და სეზონის ბოლომდე ამ გუნდის ფეხბურთელი იქნება. სტარიჯზე უფლებები კვლავინდებურად ლივერპულს ეკუთვნის, თუმცა შესაძლოა სეზონის ბოლოს ვესტ ბრომვიჩმა სტარიჯზე უფლებები მთლიანად გამოისყიდოს.

სტარიჯი ლივერპულში 2013 წლიდან თამაშობს, თუმცა ბოლო პერიოდში ის იშვიათად გამოდიოდა მოედანზე, რაც გახდა კიდეც მისი წასვლის მიზეზი.

სტარიჯს ლივერპულის შემადგენლობაში პრემიერ ლიგაში 44 გოლი აქვს გატანილი.



## მაურო იკარდი რეალს მიუახლოვდა

იტალიურ პრესაში აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ინტერის ფორვარდი მაურო იკარდი მალე რეალის ფეხბურთელი გახდება. იკარდის სახელს რეალს უკვე დიდი ხანია უკავშირებენ, თუმცა ოფიციალურად ჯერჯერობით არაფერი დადასტურებულა.

რეალი იკარდის ტრანსფერში 100 მილიონ ევროს გადაიხდის და ამაზე ნაკლებ თანხად ინტერი თავის მთავარ ლიდერს არ შეელევა. აღსანიშნავია ისიც, რომ იკარდიმ რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში პოსტი დაწერა, რომელშიც ის ვიღაცას ან რაღაცას ემშვიდობება. სავარაუდოდ, ეს პოსტი ინტერს ეხება.



## იუმორი

სკოლიდან დაბრუნებული ბავშვი დედას ეუბნება:

– დედიკო, დღეს სკოლის დირექტორმა მკითხა, ჩვენ ოჯახში მე ერთადერთი ბავშვი ვარ თუ არა.
– მერე, შენ რა უპასუხე?
– ერთადერთი.
– და დირექტორმა რაო?
– „მადლობა ღმერთს!“

•••

შვილი კულინარიულ სასწავლებელში სწავლობს. დედა ეკითხება:

– შვილო, თქვენ მიერ მომზადებული კერძების გასინჯვის უფლებას თუ გაძლევენ?
– გვაიძულებენ.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– თავს როგორ გრძნობ?
– ტამპექსივით.
– ეგ როგორ?
– კარგ ადგილას, მაგრამ ცუდ დროს...

•••

სამსახურში წასულ მამაკაცს ტელეფონი სახლში დარჩა. საღამოს სახლში დაბრუნებული მიღებულ სმს-ებს კითხულობს.

– ძვირფასო, საყვარელო, დამირეკე, გთხოვ, გკოცნი, შენი მარინა.

კაცი კითხულობს მეორე სმს-ს:

– უკვე დავურეკე, არ შეწუხდე, შენი მეუღლე.

•••

ქალი კაცს ეუბნება:

– ძვირფასო, შენ გულში ჩემთვის ადგილი მოიძებნება?
– უამრავი ქალი დატეულა და შენც დაეტევი.

•••

შვილი დედას ეუბნება:

– დედა, მამას სურათი მინდა!
– მამიკოს სურათი რაში გჭირდება?
– უბრალოდ, მასწავლებელმა მთხოვა ვანახო, თუ რომელმა სულელმა შეასრულა ჩემი საშინაო დავალება.

•••

ერთი დიდი ხნის უნახავი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორ მიდის ცხოვრება?
– ბუზებს, რომ მოეწონებათ.

•••

ტელეფონი რეკავს:

– ალო, ეს რეგისტრატურაა?
– დიახ.
– ქირურგს მიღება აქვს?
– დიახ, ჩვეულებრივ.
– ჩვეულებრივს კი არა, ავადმყოფებს თუ იღებს?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 16 იანვრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი



**„მგლის ბილიკი“**

ქართული დეტექტივი
ტომი 1

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 19 იანვრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი



**შავი ვარდი**

ქართული დეტექტივი
ტომი 2

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 23 იანვრიდან

იორამ ჩადუნელი



**საზღაური**

ქართული დეტექტივი
ტომი 3

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 26 იანვრიდან

რომან გვენცაძე



**საბედისწერო გასროლა**

ქართული დეტექტივი, ტომი 4

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 30 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა



**ქურდები და არიფები**

ქართული დეტექტივი, ტომი 5

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## ჟერარ პიკე: „ბარსელონიდან არასოდეს წავალ“



ბარსელონის ცენტრალურმა მცველმა ჟერარ პიკემ განაცხადა, რომ კარიერის დასრულებას ბარსელონაში აპირებს და სხვა კლუბში თავისი თავი ვერ წარმოუდგენია.

– ბარსელონა ჩემი ცხოვრებაა და სხვა გუნდში გადასვლაზე არასოდეს ვიფიქრებ. მინდა, კარიერა ბარსელონაში დავასრულო და, თუ ამ გუნდიდან წავედი, მაშინ ჩემი კარიერაც დასრულდება, – განაცხადა ჟერარ პიკემ.

პიკემ რამდენიმე დღის წინ 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ის ბარსელონის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. პიკე ბარსელონის ღირსებას 2008 წლიდან იცავს.

## ჟერარ დელოფეუ უოტფორდში ითამაშებს

ბარსელონამ ახალგაზრდა ფორვარდი ჟერარ დელოფეუ ინგლისურ უოტფორდში გაანათხოვრა, სადაც ის სეზონის ბოლომდე ითამაშებს.

დელოფეუს აქვს ინგლისში თამაშის გამოცდილება და აქამდე ევერტონის ღირსებას იცავდა, სადაც ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო. ბარსელონაში ჟერარმა კარიერა ვერ აიწყო და იშვიათად გამოდიოდა მოედანზე, ამიტომ მისი წასვლა არავის გაჰკვირვებია. ინგლისში დელოფეუ რამდენიმე დღეში ჩაფრინდება და თავის ახალ გუნდს შეუერთდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ლეროი სანე თვე-ნახევარს გამოტოვებს

მანჩესტერ სიტის გერმანელი ფეხბურთელი ლეროი სანე ტრავმის გამო თვეზე მეტს გამოტოვებს. ამის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც სანეს სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა.



ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ მსაჯები ფეხბურთელებს უფრო მეტად უნდა იცავდნენ და ამ შემთხვევაში გაცილებით ნაკლები მსგავსი შემთხვევა მოხდება.

სანემ ტრავმა კარდიფთან შეხვედრის დროს მიიღო და მინდორი უკვე პირველ ტაიმში დატოვა.

წლევანდელ სეზონში ლეროი სანე მანჩესტერ სიტის ერთ-ერთი ლიდერია.


გაზეთ „ახალი თაობის“ მთავარ რედაქტორს, ჩვენს საყვარელ

**სოსო გოგინაშვილს**

ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, უფლის წყალობას, წარმატებებს!



**სიყვარულით. „ახალი თაობა“**


## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. პანტომიმის ძველი ქართული სახელწოდება; 2. კუბის ფორმის წმინდა მეჩეთი მექაში; 3. ყველაზე დაბალი რეგისტრის სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 5. ბადმინტონის სათამაშო ბურთი; 6. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 7. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გავრცელებული სურნელოვანი ვაზის ჯიში; 13. უნგრელ პარტიზანთა სახელწოდება; 11. აეროპორტი ტოკიოში; 14. ყვითელი ფერის მტკიცე ფისოვანი მინერალი; 15. ღელვის ნაყოფში არსებული ალკალოიდი; 16. ძალიან ლამაზი ბაღი; 17. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 19. ჟირაფის ერთ-ერთი სახეობა; 20. კურორტი ბორჯომის ხეობაში.

**თარაზულად**: 1. ალუმინის შემცველი მადანი; 4. ძაფზე ასხმული სამკაული; 8. თანამედროვე ბრიტანელი თეატრალური რეჟისორი; 9. ქართული ფული; 10. ხორვატიის კალათბურთელთა გუნდი; 12. თაიგულების შედგენის იაპონური ხელოვნება; 14. მდინარე ხრამის სახელწოდება ზედა დინებაში; 15. ისტორიული მოედანი ლონდონში; 16. მთავარი ქრისტიანული მღვდელთმსახურება; 18. მუზეუმი მადრიდში; 21. ძვირფასი ლითონების წონის საზომი ერთეული; 22. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 23. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

